პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 146 (5247) | კვირა, 26 ივნისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების დღეა

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა დიად სტალინურ ძმობას და ურღვევ მეგობრობას

რუს, უკრაინელ და ბელორუს ხალხთა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული

დაუვიწყარი, საისტორიო ამბებით მთავრდება 1938 წლის პირველი ნახევარი! 12 ივნისს სომხეთისა და საქართველოს ხალხებმა არაჩვეულებრივი ერთსულოვნებით აირჩიეს თავიანთი რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები—სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭო და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. გუშინწინ, 24 ივნისს, თავიანთი რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები აირჩიეს აზერბაიჯანისა და თურქმენეთის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის, კაზახეთისა და ყირგიზეთის ბედნიერმა ხალხებმა. დღეს, 26 ივნისს, თავიანთი რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს აირჩევენ რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის მძლავრი, თავისუფალი, მრავალმილიონიანი ხალხები.

არჩევნები ჩვენში ტარდება როგორც მუშების, გლეხების, ინტელიგენციის საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. ეს დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა 1937 წლის 12 დეკემბერს. ეს დაამტკიცა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებმა 1938 წლის 12 ივნისს. ეს დაამტკიცა არჩევნებმა აზერბაიჯანსა, თურქმენეთსა, უზბეკეთსა, ტაჯიკეთსა, კაზახეთსა და ყირგიზეთის რესპუბლიკებში. ამასვე ახალი ძალით დაამტკიცებს რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დღევანდელი არჩევნები.

დღეს, იმის მსგავსად, როგორც 12 და 24 ივნისს, საბჭოთა კავშირის 8 მოკავშირე რესპუბლიკის მოძმე ხალხები. რუსეთისა, უკრაინისა და ბელორუსიის მშრომელები გვიჩვენებენ თავიანთ არაჩვეულებრივ მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობას, თავიანთ შემჭიდროვებას ლენინ-სტალინის გმირული პარტიის ირგვლივ, თავიანთ ერთგულებასა და სიყვარულს ჩვენი მამისა და მასწავლებლის, გენიალური **სტალინისადმი.**

თანასწორთა შორის პირველი, რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა წინათ, მეფისა და კაპიტალისტების ბატონობის დროს, აგრარული, ჩამორჩენილი ქვეყნიდან, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-აგრარულ, მოწინავე კულტურისა და მეცნიერების ქვეყნად. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის მრავალმილიონიანმა მუშათა კლასმა, გლეხობასთან მჭიდრო კავშირში, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად გაანადგურა სოციალიზმის მტრები, მოსპო ჩაგვრა და უუფლებობა და დაამკვიდრა მშრომელთა ბედნიერი და საამური სოციალისტური ცხოვრება. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის ხალხმა მოიპოვა უდიდესი პატივისცემა, ავტორიტეტი და სიყვარული არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხებში, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულში. აი რატომ მისცემს დღეს ხმას დიდი რუსი ხალხი ლენინ-სტალინის პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკას, კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს, მთელი საბჭოთა ხალხის პირველ კანდიდატს — დიდ **სტალინს.**

საუკუნოებით ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ მოძმე უკრაინის მშრომელები. უცხოელი და უკრაინელი კაპიტალისტები და მემამულეები, მეფის მოხელეები და ყველა ჯურის პარაზიტები შეუბრალებლად სწოვდნენ სისხლს უკრაინელ ხალხს. უკრაინა იყო ჩამორჩენილ, სამარცხვინო მდგომარეობაში. მიჰბაძეს რა დიდი რუსი ხალხის მაგალითს, დაირაზმნენ რა ლენინ-სტალინის უძლეველი დროშის ქვეშ, უკრაინის მშრომელებმა თავიდან მოიცილეს ჩაგვრისა და დამცირების, ექსპლოატაციისა და სიღარიბის მწვავე უღელი და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ააშენეს მჩქეფარე სოციალისტური ცხოვრება, დაირაზმნენ რა ლენინ-სტალინის **დროშის** ქვეშ, უკრაინის მშრომელებმა თავისი ქვეყანა გადააქციეს მძლავრი ინდუსტრიის ქვეყნად, ბარაქიანი სოფლის მეურნეობის ქვეყნად, კულტურისა და მეცნიერების ქვეყნად, ხალხთა ბედნიერებისა და სიხარულის ქვეყნად. აი რატომ მისცემს დღეს ხმას უკრაინელი ხალხი ლენინ-სტალინის პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკას, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს, მთელი საბჭოთა ხალხის პირველ კანდიდატს — დიდ **სტალინს.**

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ბელორუსიის გლეხობის ნახევარზე მეტი მოჯამაგირეობდა. შიმშილი და სიღარიბე მშრომელთა აუცილებელი ხვედრი იყო. ეროვნულ ჩაგვრასა და დამცირებას საზღვარი არა ჰქონდა. მიჰბაძეს რა დიდი რუსი ხალხის მაგალითს, დაირაზმნენ რა ლენინ-სტალინის დიადი დროშის ქვეშ, ბელორუსიის მშრომელებმა ისტორიას ჩააბარეს შავბნელი წარსული, მოსპეს ჩაგვრა და სიღარიბე, ექსპლოატაცია და უკულტურობა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად ააშენეს სოციალიზმი. ბელორუსიის მრეწველობა ახლა 23,5-ჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე 1913 წელს. მთელი ეს სიმდიდრე ხმარდება თვით მშრომელებს. ბელორუსიის გლეხთა 96 პროცენტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში და უზრუნველყოფილად ცხოვრობს. გატარებულია საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლება, ვითარდება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. აი რას მიაღწიეს ბელორუსიის მშრომელებმა ლენინ-სტალინის **პარტიის** ხელმძღვანელობით. აი რატომ მისცემს დღეს ხმას ბელორუსიის ხალხი კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

დღეს რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის მშრომელთა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია. ამ რესპუბლიკების ხალხებთან ერთად სიხარულსა და აღტაცებას განიცდის მთელი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები. ჩვენი დიდი კავშირის ხალხი განუყოფელია ზეიმშიც და პრაქტიკულ საქმიანობაშიც.

განსაკუთრებით ახლობელი და ძვირფასია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებისათვის დიდი რუსი ხალხი. რუსმა ხალხმა მთელ მსოფლიოს მისცა უდიდესი ადამიანი, ჩაგრულთა და გაყვლეფილთა გენიალური ბელადი დიდი **ლენინი;** რუსმა ხალხმა **ლენინისა** და **სტალინის** ხელმძღვანელობით შექმნა ბოლშევიკების ფოლადისებური პარტია, რომლის ინტერესები მშრომელთა ინტერესებისაგან განუყოფელია; რუსმა ხალხმა პირველმა დაამხო მჩაგვრელების ბატონობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, რითაც განთავისუფლების გზა უჩვენა მთელ მსოფლიოს; რუსი ხალხის დახმარებით გარდაიქმნენ, დაწინაურდნენ, აყვავდნენ წინათ უუფლებო, უაღრესად ჩამორჩენილი ხალხები. ამიტომ გასაგებია, რომ დიდი რუსი ხალხის სიხარული მთელი საბჭოთა კავშირის ხალხების და მათ შორის ქართველი ხალხის სიხარულიცაა.

ტყუილად ცდილობდნენ ტროცკისტ-ბუხარინელ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტ ყაჩაღთა ბანდები უნდობლობა და შუღლი დაეთესათ საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის. ტყუილად ცდილობდნენ ფაშიზმის ეს საზიზღარი აგენტები დიდი საბჭოთა ოჯახიდან უკრაინელი, ქართველი, სომეხი და სხვა ხალხების გამოცალკევებას და მათს გადაქცევას კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიებად. სახელოვანმა შინსახკომელებმა საბჭოთა ხალხის დახმარებით გაანადგურეს მტრის ძირითადი ბუდეები და ახლა აწარმოებენ მათი ნარჩენების ამოფხვრას.

მტკიცეა ისე, როგორც არასოდეს, ხალხთა სტალინური მეგობრობა. რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების წინასაარჩევნო კამპანიამ კიდევ მეტად დააახლოვა ერთმანეთთან საბჭოთა კავშირის ხალხები. საქართველოს, სომხეთის, უკრაინისა და ბელორუსიის კოლმეურნეთა მიწერ-მოწერა ამ მეგობრობის შესანიშნავი დადასტურებაა. კოლმეურნეები ერთმანეთს სწერდნენ თავიანთი ბედნიერი ცხოვრების შესახებ, უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ საწარმოო გამოცდილებას, აცნობდნენ ერთმანეთს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობას, ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს თავიანთ კოლმეურნეობებში და სხვ. და სხვ. კოლმეურნეები თავიანთ მიწერ-მოწერაში მთელი საბჭოთა ხალხის აზრს გამოხატავდნენ, როცა ისინი უდიდესი სიყვარულის გრძნობით ლაპარაკობდნენ ლენინ-სტალინის პარტიის შესახებ, ხალხთა ბელადის—დიდი **სტალინის** შესახებ. უსაზღვროა ხალხის ერთგულება და სიყვარული ბოლშევიკების გმირული პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი.** ამ სიყვარულის გრძნობით მიდიოდა ხალხი 12 და 24 ივნისს თავიანთი უმაღლესი საბჭოების არჩევნებზე. ამავე გრძნობით მივლენ დღეს რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის მშრომელნი საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

მხურვალე სალამი დიდ რუს ხალხს რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ისტორიულ დღეს!

მხურვალე სალამი მოძმე საბჭოთა უკრაინის მშრომელთ!

მხურვალე სალამი თავისუფალი საბჭოთა ბელორუსიის ხალხს!

იაპონელთა ახალი პროვოკაცია

ბლაგოვეშჩენსკი, 24 ივნისი (საკდესი). საკდესის კორესპონდენტს აქ აცნობებს, რომ ა. წლის 8 ივნისს 4 საათსა და 30 წუთზე მდინარე ამურის ნაპირთან სოფელ სერგეევკის ზემოთ 3 კილომეტრის მანძილზე, ჩვენმა მესაზღვრეებმა დააკავეს მანჯურელი შალანდა, რომელზედაც იმყოფებოდა 29 კაცი—კორეელები და ჩინელები. დაკავების მომენტში 8 კაცი უკვე გადმოსული იყო ჩვენს ნაპირზე. დაკავებულებს ჩამოართვეს იაპონური იარაღი, ოფიცრის კომპასი, ფოტოგრაფიული აპარატი და რამდენიმე სხვა ნივთი. დაკავებულებმა აღიარეს, რომ ისინი გადმოისროლეს საბჭოთა ტერიტორიაზე დივერსიული აქტების მოხდენის მიზნით. ამ დივერსიული ბანდის სათავეში იდგა ჯაო ჩუნ-სი და ცაი-ჩი, რომელთაც განაცხადეს, რომ ბანდა ჩამოაყალიბა და შეაიარაღა ოქროს საბადოების იაპონელმა მმართველმა.

ამ ცნობამ შორეულ აღმოსავლეთის საზოგადოებრივი აზრის აღშფოთება გამოიწვია. აქ ჰფიქრობენ, რომ ეს პროვოკაცია ისე, როგორც ყველა წინანდელი პროვოკაცია საბჭოთა-მანჯურიის საზღვარზე, მოწყობილია მანჯურიაში მყოფ კარგად ცნობილ იაპონელთა სამხედრო ექსტრემისტული წრეების მიერ იმ მიზნით, რათა საბჭოთა-მანჯურეთის საზღვარზე დაძაბული მდგომარეობა შეიქმნას.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა წერილი

მოსკოვის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენ დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული გაქვთ. თქვენ ირჩევთ თქვენს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს—რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

ჩვენი ქარხნის ხუთიათასიანი კოლექტივის სახელით ამ სასიხარულო დღეს ჩვენს ძმურ სალამს გიძღვნით.

მოგესალმებით რა თქვენ, ჩვენ თვალს ვაპყრობთ იმას, ვის სახელსაც ატარებს ჩვენი ქარხანა, ვინც აქ, ჩვენს ქარხანაში დაიწყო თავისი რევოლუციური მოღვაწეობა, ვინც გენიალურ ლენინთან ერთად ხელმძღვანელობდა შეურიგებელ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობასთან, ვინც აღგვაგზნებდა ჩვენ სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ჩვენს თვალს უსაზღვრო სიამაყითა და სიყვარულით მივაპყრობთ დიდ სტალინს.

ჩვენ გვიყვარს დიდი რუსი ხალხი, რომელმაც კაცობრიობას მისცა სოციალისტური რევოლუციის გენიოსი—ლენინი, უდიდესი მეცნიერნი და მწერლები, ხალხი, რომელმაც პირველმა აღმართა მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა, ხალხი, რომელიც ჩვენ დაგვეხმარა დაგვემხო საქართველოს მშრომელთა უბოროტესი მტრების—მენშევიკების უღელი და თვითნებობა.

რუსი ხალხისადმი მხურვალე ძმური სიყვარულის გრძნობით აღფრთოვანებულებმა, ჩვენმა საუკეთესო სტახანოველებმა ამხ. ტურაშვილმა, ყიფიანმა, ბიულძა, ერონოსოვმა, ზანგურაშვილმა, ენუქიძემ და სხვ. ქარხნის კოლექტივს მიმართეს მოწოდებით აღგვენიშნა რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე ნახევარწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებით.

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირა მხარი ქარხნის ყველა მუშამ, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკმა და მოსამსახურემ. გაშლილი სოცშეჯიბრების საფუძველზე სტახანოველის, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. ი. ა. დევსურაშვილის საუკეთესო ბრიგადა იმ სამუშაოს, რომლის შესასრულებლადაც მას გეგმით მიცემული ჰქონდა 75 საათი, ასრულებს 42 საათში. ბრწყინვალე მუშაობის მაგალითებს გვიჩვენებს კადრის ძველი მუშის ამხ. სელიხოვის ბრიგადა. საქვაბე საამქროს ორდენოსანმა სტახანოველმა ამხ. გეწაძემ ნორმების შესრულება 400 პროცენტამდე აიყვანა. მას არ ჩამორჩება ამავე საამქროს სტახანოველი ამხ. ქებაძე.

პირველობაში ერთმანეთს ეჯიბრებიან სტახანოველები ამხ. ნადირაძე, გუგულაშვილი, ილურიძე, დვალი, ნატრაძე, კუპრავა, ტიურინი, ორლოვი და სხვ.

ჩვენი სიტყვა შევასრულეთ. 23 ივნისს ქარხანამ შეასრულა ნახევარწლიანი პროგრამა, რკინიგზას საშუალო და კაპიტალური რემონტიდან მისცა 170 ორთქლმავალი. თვის დამლევამდე რჩება 6 დღე. ჩვენ ვკისრით ვალდებულება გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ კიდევ 14 ორთქლმავალი.

ჩვენი ქარხანა ღრმა გარღვევას განიცდიდა, წლიწლობით არ ასრულებდა თავის გეგმას. ქარხნის ხელმძღვანელობის სათავეში დიდხანს იმყოფებოდნენ ხალხის მტრები. ისინი ყოველნაირად ეწეოდნენ მავნებლობას, ქარხანას საშუალებას არ აძლევდნენ თავი დაეღწია გარღვევისათვის. ფაშისტთა დაქირავებული საზიზღარი ელემენტები მხილებული და მოსპობილი არიან. ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ჩვენი სიფხიზლე. კიდევ უფრო ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალყური მტრების ხრიკებს. უმოკლეს ვადაში უნდა ამოვთხაროთ მავნებლობის შედეგები [illegible] აგენტთა ყველა ნაბოლარები—საზიზღარი ტროცკისტ-ბუხარინელი მახინჯები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები, ხალხის ყველა მტერნი.

სიტყვას გაძლევთ შემდეგშიაც განვამტკიცოთ ჩვენი ძლიერი მრავალმილიონიანი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა სტალინური მეგობრობა. განვამტკიცოთ მისი ძლიერება, მოვამზადოთ ულმობლად შემუსრვა ყველა იმათი, ვინც შეეცდება თავს დაგვესხას ჩვენ.

ვცხოვრობთ რა სტალინური კონსტიტუციის ეპოქაში, ჩვენ ბედნიერება გვაქვს ვიყოთ მოწმენი უმაგალითო გამარჯვებებისა და მიღწევებისა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. სულ უფროდაუფრო ბრწყინვალე, სრული და სასიხარულოა ჩვენი ცხოვრება, სულ უფროდაუფრო მკვეთრად და მხნედ გაისმის ჩვენი ახალგაზრდობის სიმღერა, სულ უფროდაუფრო დამშვიდებული და უზრუნველყოფილია ჩვენი მოხუცებულობა, დღითიდღე სულ უფროდაუფრო მტკიცდება ჩვენი მძლავრი წითელი არმიის ძლიერება. და ყოველივე ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ კომუნისტური პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას, ჩვენს დიდ ბელადს, მასწავლებელს, მამას, მეგობარს—მშობლიურ სტალინს.

ამ გრძნობით ჩვენ, თბილისის ყველა მშრომელმა, მთელმა ქართველმა ხალხმა 12 ივნისს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ერთსულოვნად მივეცით ჩვენი ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ერთსულოვნად ავირჩიეთ მთელი ქართველი ხალხის პირველ დეპუტატად დიდი **სტალინი.**

ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში 26 ივნისს კომუნისტთა და უპარტიოთა ურყევი სტალინური ბლოკი ახალ, ბრწყინვალე გამარჯვებას მოიპოვებს.

რუსეთის სფს რესპუბლიკის ხალხები თავიანთ უმაღლეს საბჭოში და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში გაჰგზავნიან თავიანთ საუკეთესო შვილებს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ერთგულ ადამიანებს.

გისურვებთ თქვენ, ამხანაგებო, კიდევ უფრო მეტ წარმატებებს და ახალ გამარჯვებებს!

გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურს, ბრძენსა და დიდ **სტალინს!**

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა, მუშა ქალთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხუთიათასიანი კოლექტივის სახელით ხელს აწერენ: **დ. ა. ჩიჩინაძე**—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი, ქარხნის დირექტორი, **ე. მ. წამალაიძე**—პარტიული კომიტეტის მდივანი, **გ. ს. კაზაზიშვილი**—საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, სტახანოველები: **ი. ა. დევსურაშვილი**—საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **მ. ფ. გეწაძე**—ორდენოსანი, **ლ. ს. როდიონოვა**—ორდენოსანი. **ვ. ა. ტურაშვილი, ა. ი. მკერვალიშვილი, ნ. ი. გეჯაძე, ა. ი. ორლოვი, გ. ი. ზანგურაშვილი, ა. ი. ლისენკო, გ. მ. ხოდაშელი, კ. გ. ცაგურაშვილი, ა. ა. სოლონინი, მ. ფ. მაკურინი, ი. გ. მაშუჩაშვილი, ე. ნ. ურიბაშვილი, ა. ვ. ცხენოსანიძე, ვ. ი. კოჭუაშვილი, ა. ი. მჟავია, ი. ა. დგებუაძე, ვ. გ. ბერიაშვილი, ნ. მ. კოჩეტკოვი, ი. მამულაშვილი, ე. ი. კოჭლავაშვილი, [illegible] ი. ა. ტიურინი, ტ. კ. ვართანოვი, [illegible]ვარიანი** (საქტესი).

მოსკოვი. კრემლი

აზერბაიჯანის სსრ ხალხთა ნამდვილი ზეიმის დღე

ბაქო, 25 ივნისი (საკდესი). არჩევნების დღე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ხალხთა ნამდვილი ზეიმი იყო. ყველგან — ქალაქებსა და სოფლებში, წითელი არმიის ნაწილებში, ხალხი ყუთებისაკენ მიეშურებოდა, რათა ხმა მიეცა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის, ლენინ-სტალინის პარტიისათვის, თავისი სამშობლოს ბედნიერებისათვის.

როგორც კი გათენდა ნავთის ბაქოს ქუჩები თანდათან გაივსო ლამაზად, სადღესასწაულოდ გამოწყობილი ამომრჩევლებით. ბაილოვის ქუჩა, ილიჩის ბუხტის ნავთის კოშკები, სოფელ შიხოვოის სახლები სტალინის მთელი ნავთიანი რაიონი მორთულია ალისფერი დროშებით, ლოზუნგებითა და პლაკატებით. ყველგან უკრავს მუსიკა, გაისმის წკრიალა სიმღერა.

დიდებულად გამოიყურება სადღესასწაულოდ მორთული, მწვანე მცენარეულობაში გახვეული კულტურის სასახლე, ფასადზე გამოფენილია პორტრეტი აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის, ძლიერი საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვისა, რომელიც კენჭს იყრის სტალინის № 2 საარჩევნო ოლქში.

თავის ბიულეტენს პირველი უშვებს საარჩევნო ყუთში ტრესტ „სტალინნეფტის“ ჰაბურღილის უფროსი, ორდენოსანი, აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, ნავთის მრეწველობის წარჩინებული მუშაკი არსენ ვანესოვი.

კრასინის სახელობის ელექტროსადგურის მემანქანის თანაშემწე ოლღა პეტრეს-ასული გავრილოვა მღელვარებით ამბობს:

—მოუთმენლად ველოდი ამ საოცნებო წუთს — უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს. ეს წუთი დადგა. მე ჩავუშვი ყუთში ჩემი საარჩევნო ბიულეტენი, რომელზედაც ეწერა საყვარელი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის სახელი.

მე 40 წლისა ვარ, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში ჯერ არასოდეს არ ვყოფილვარ ასეთი ბედნიერი.

წითელი ფლოტის საარჩევნო უბანში აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყარა მე-3 რანგის სამხედრო ინჟინერმა, № გემის მექანიკოსმა ივანე ივანეს-ძე კაზიმიროვმა.

ღამის 12 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიებმა დაამთავრეს ბიულეტენების მიღება და შეუდგნენ ხმების დათვლას.

ორდენოსანი აზერბაიჯანის ყოველი კუთხიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მოსდის ცნობები, რომლებიც მოწმობენ მშრომელთა უმაგალითო პოლიტიკურ აღმავლობას.

უზბეკეთის ხალხის დიდი დღესასწაული

ტაშკენტი, 24 ივნისი (საკდესი). დილით ტაშკენტის რადიოსადგურმა ეთერში გადასცა ძმური მისალმება არჩევნების დღესთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულია დღეს თბილისიდან და ალმა-ატიდან. საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახკომსაბჭო, ყაზახეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და კ. პ. (ბ) ც. კ-ი თავის მისასალმებელ დეპეშებში თავისუფალ უზბეკეთის ხალხს ულოცავენ დიდ დღესასწაულს.

სასიხარულო გაცხოველებული მოძრაობა ტაშკენტის ქუჩებში დილის 35-გრადუსიანი პაპანაქების საათებშიც კი არ შემცირებულა.

ტაშკენტის ლენინის ოლქი, სადაც კენჭს იყრის დიდი ბელადი ამხანაგი ი. ბ. სტალინი, არჩევნები განსაკუთრებული აღფრთოვანების ვითარებაში მიმდინარეობს. ერთსულოვნად მოდიან მშრომელები უბნებში, რათა თავისი ხმები მისცენ უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატს.

ამხანაგი სტალინის სახელს ატარებს ის ოლქი, სადაც რეგისტრირებულია მისი უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის კანდიდატურა. საბჭოთა მთავრობის მეთაურისათვის ხმის პირველი მიცემის ბედნიერება წილად ხვდა საფეიქრო კომბინატის წარჩინებულ სტახანოველ ქალს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს მავჯუდა აბდურახმანოვას.

უდიდესი პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს არჩევნები ტაშკენტის—კუიბიშევის ოლქში, სადაც კენჭს იყრის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი.

ტაშკენტში 40 საარჩევნო ოლქია. და ყველგან ამომრჩევლები ერთსულოვნად მიდიან არჩევნებზე, რათა ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

კაზახეთის თავისუფალი ხალხი ირჩევს თავისი რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს

ალმა-ატა, 24 ივნისი (საკდესი.) ტიანშანის მთების კალთებზე, ნოყიერ საზაფხულო საძოვრებზე, ყარაგანდის მაღაროებში, ოქროს საბადოებში, ფერადი მეტალურგიის ქარხნებში, ბედნიერი ყაზახეთის ყველა კუთხეში დღეს დიდი დღესასწაულია. თავისუფალი კაზახეთის ხალხი ირჩევს თავისი რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოდის მრავალრიცხოვანი ცნობები, რომლებიც ადასტურებენ ხალხის მასების კოლოსალურ აღფრთოვანებას. ყველგან უკვე დილის 6 საათისათვის საარჩევნო უბნებთან მრავალ ხალხს მოეყარა თავი და დიდი მოძრაობა იყო.

უდიდესი აღფრთოვანებით მიმდინარეობს არჩევნები საკოლმეურნეო სოფლებში. ყველგან ისმის მუსიკა, სიმღერები, გამართულია ცეკვა-თამაში, გამოდიან მხატვრული წრეები, ისმის აკინების სიმღერები. იმ საარჩევნო ოლქში, სადაც კენჭს იყრის სახელგანთქმული სახალხო პოეტი ჯამბული, კოლმეურნეები მღერიან მის აღფრთოვანებულ სიმღერას მიმართულს ყაზახეთის რესპუბლიკის ამომრჩევლებისადმი.

მრავალრიცხოვანი წინასაარჩევნო მიტინგები კიევში

კიევი, 24 ივნისი (საკდესი). უკრაინის დედაქალაქის ასობით ათასმა ამომრჩეველმა აავსეს დღეს კიევის მოედნები და სტადიონები. ისინი შეიკრიბნენ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ მიტინგებზე.

პერეკოპის გმირთა სახელობის ვეებერთელა მოედანზე შეიკრიბა სტალინის საარჩევნო ოლქის 60 ათასი ამომრჩეველი. ისინი ამაყობენ იმით, რომ ხმას მისცემენ დიდ სტალინს.

მქუხარე ოვაციით შეხვდნენ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას. ვრცელ, შინაარსიან სიტყვას ამხ. ხრუშჩოვს ხშირად აწყვეტინებდნენ ტაშის გრიალით.

მრავალრიცხოვანი მიტინგები შესდგა აგრეთვე ლენინის საარჩევნო ოლქში, სადაც კენჭს იყრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, მოლოტოვის საარჩევნო ოლქში, სადაც კენჭს იყრის ამხ. ნ. ი. ეჟოვი და კიევის სხვა საარჩევნო ოლქებში.

ბედნიერი უკრაინელი ხალხის ზეიმის დღე

კიევი. უკრაინის მთავრობის სახლი ფოტო ტ. [illegible]

*



კიევი „დინამოს" სტადიონი („სოიუზფოტო")

უკრაინის ხალხის დეპუტატობის კანდიდატები

დღეს საბჭოთა უკრაინის მშრომელი ხალხის ზეიმის დღეა. სტალინური კონსტიტუციით ფრთაშესხმული, გამარჯვებული უკრაინის ხალხი თავისი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში წარგზავნის რჩეულ შვილებს, სოციალიზმის ქვეყნის საამაყო ადამიანებს.

ქალაქ კიევის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა ჯერ კიდევ თავიანთ კანდიდატურათა რეგისტრაციის პირველ დღეებში მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებს გაუზიარეს უსაზღვრო აღტაცება იმით, რომ მთელი მშრომელი კაცობრიობის ბელადმა, საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველმა კანდიდატმა უმაღლეს საბჭოში თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს ქალაქ კიევის სტალინის საარჩევნო ოლქში უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

ხვალ ისინი საარჩევნო ყუთთან მივლენ და სიხარულით ხმას მისცემენ იმას, ვინც მათ და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებს ბედნიერი და საამური ცხოვრება შეუქმნა, ხმას მისცემენ დიდ სტალინს.

კიევის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უზომო სურვილი იყო, რომ დიდი სტალინის ღირსეულ თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურს ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს მათთან ეყარა კენჭი უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე. და დღეს მათ ბედნიერება ექნებათ ეს სურვილი სინამდვილედ აქციონ, ხმა მისცენ დიდი რუსი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ მოლოტოვს.

დღეს უკრაინის ხალხი ხმას მისცემს დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლებს, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის შვილებს.

უკრაინის ხალხის დეპუტატები არიან ისინი, ვინც უკრაინა საბჭოთა კავშირის თვალმარგალიტად აქცია, ვინც შინაურ და გარეშე მტრებთან ლომივით იბრძოდა და იბრძვის, ვინც სამრეწველო გიგანტების—ფაბრიკა-ქარხნების აგრეგატებს მაქსიმალური სიმძლავრით და ნაყოფიერებით ამოძრავებს, ვინც ნოყიერ შავნიადაგიან ყამირებს ხიბულებს უხვი მოსავალი მისცეს სოციალიზმის ქვეყანას.

ყუთი უდგას და კენჭი ეყრება დეპუტატობაზე მაკეევკის კიროვის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საამაყოს, ღუმელების ობერ-ოსტატს ივანე გრიგოლის-ძე კორობოვს, რომლის სტახანოვური ოჯახის სადღეგრძელო დიდმა სტალინმა კრემლში შესვა.

დეპუტატობის კანდიდატები არიან: პოლტავის ორთქლმავალ - სარემონტო ქარხნის უფროსი ამხ. თეოდორე კუზმინი, რომელმაც ქარხანა მრავალჯერ ასახელა, ილია კორნილის-ძე სმირნოვი, ხარკოვის სამხედრო ოლქის სარდალი, ორბივით რომ გადაჰყურებს დასავლეთ საზღვრებს, ორდენოსანი მარინა ვასილის-ასული გნატენკო, კიევის მიქოიანის სახელობის კვების მრეწველობის ინსტიტუტის სტუდენტი, ალექსანდრე ეგნატეს-ძე კრამოვი — ხარკოვის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ალექსანდრე ტროფიმეს-ძე სტეპანენკო—დონბასის სიამაყე, ორდენოსანი მნგრეველი, ნატალია სერგეის-ასული რადჩენკო — პოკროვო-კირეევსკის მტს-ის ქალთა სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი, ორდენოსანი, ანა თედორეს-ასული ბედნენკო — სტახანოველი კოლმეურნე ქალი, დარია პავლეს-ასული მირონენკო, კომკავშირელი, კოლმეურნეობის ბრიგადირი, პეტრე მიხეილის-ძე აგეენკო, უპარტიო, დამსახურებული ექიმი, ანდრეი კალიუჟნი, კრასნოგრადის რაიონის სოფელ კრიშჩინის (ხარკოვის ოლქი) კოლმეურნეობა „ნოვე ჟიტიას" თავმჯდომარე, უპარტიო... და მრავალი სახელოვანი ადამიანი, მრავალი თავდადებული მებრძოლი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისათვის.

მშრომელი ხალხის ღვიძლი შვილები არიან კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები, რომელთაც თავიანთი შრომით დაიმსახურეს ეს ნდობა, და ეჭვი არ არის უკრაინის მშრომელი ხალხის ყველა ხმა მათ ყუთებს არ ასცდება.

უკრაინის მშრომელი ხალხის გმირობის თარიღები

საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში იშვიათად თუ მოიძებნება ერი, რომელსაც იმდენ მსხვერპლად დაჯდომოდეს საბჭოთა ხელისუფლებამდე მისვლა, როგორც უკრაინის მშრომელ ხალხს.

უკრაინაში ბურჟუაზიულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მეთაურობდა ცენტრალური რადა, რომელიც კიევში შეიქმნა რევოლუციის პირველ თვეებში.

თავის დეკლარაციაში, რომელიც 1917 წლის ივნისს გამოქვეყნდა, რადამ მხოლოდ პრინციპიალურად გამოაცხადა, რომ უკრაინის ხალხი თვითონ უნდა ჰქმნიდეს თავის ბედსო. მაგრამ ეს იყო ლიტონი განცხადება.

მიუხედავად ამისა დროებითი მთავრობის ბანაკში, რომელსაც კადეტები მეთაურობდნენ და რომელთა ეროვნულ პოლიტიკას ესერები და მენშევიკები იზიარებდნენ, ამ განცხადებამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია. რუსეთის ბურჟუაზია, „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" პრინციპის მქადაგებელი, როგორ შეურიგდებოდა რომელიმე ერის დამოუკიდებელ ხმას.

უკრაინის საკითხი დროებითი მთავრობის ერთი ძირითადი თავსამტვრევი საკითხი გახდა.

ივლისის დამდეგს კიევში მიემგზავრება მთავრობის სამეული კერენსკის, წერეთლის და ტერეშჩენკოს მეთაურობით და დიპლომატიურ „დროებით ზავს" სდებს რადასთან.

მაგრამ არც დროებითი მთავრობა და არც ბურჟუაზიული ნაციონალისტური რადა არ სწყვეტდა უკრაინის ხალხის ბედს. უკრაინის ხალხის ბედს სჭედდნენ იატაკქვეშეთში მყოფი ბოლშევიკები.

დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები პროლეტარული რევოლუციისა და ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციის ძალებს შორის.

ბოლშევიკებმა ააფრიალეს აჯანყების დროშა ცენტრალური რადის წინააღმდეგ. 1917 წლის დეკემბერში კიევში იკრიბება საბჭოების პირველი ყრილობა, რომელიც ჩაშალა რადამ. ყრილობა გადატანილ იქნა ხარკოვში. ამ ყრილობამ უკრაინა პირველად გამოაცხადა საბჭოთა რესპუბლიკად. ყრილობამ აირჩია უკრაინის პირველი ცაკი, უკანასკნელმა კი უკრაინის პირველი მთავრობა — სახალხო სამდივნო, რომელიც ხელმძღვანელობდა შეიარაღებულ ბრძოლას ცენტრალური რადისა და კალედინის წინააღმდეგ. უკრაინაში ჩამოყალიბდა წითელი არმია.

დონბასის მუშებმა რუსეთის წითელგვარდიელთა რაზმების დახმარებით 1918 წლის იანვარში გაანადგურეს კალედინი და იერიში მიიტანეს კიევზე, რომელიც ბოლშევიკური აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული.

1918 წლის 27 იანვარს კიევი აღებულ იქნა და ცენტრალური რადა განადგურებული.

1918 წლის თებერვალ-მარტში უკრაინას თავდაცვა უხდება ავსტრია-გერმანიის ჯარებისა და მათთან ერთად იერიშზე გადმოსულ ცენტრალური რადის გაიდამაკთა რაზმებისაგან. გერმანია და ავსტრია ბრესტის ხელშეკრულების საფუძველზე ახდენენ უკრაინის ოკუპაციას. საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო განმტკიცება, 1918 წლის თებერვალში დამარცხებულ იქნა.

1918 წლის ბოლოს, როცა გერმანიაში რევოლუცია იმარჯვებს, უკრაინაში მთელი სიმძლავრით იფეთქა გლეხთა საყოველთაო ძლევამოსილმა აჯანყებამ.

ამ აჯანყების მეთაურობას დროებით ხელთ იგდებს კულაკური ნაციონალისტური წვრილ-ბურჟუაზიული „დირექტორია" პეტლიურას მეთაურობით. უკანასკნელი ცდილობს დაუკავშირდეს ანტანტას, რომლის მიერ იმ ხანებში ოკუპირებული იყო უკრაინის სამხრეთი (ოდესა, ნიკოლაევი და სხვ.).

მაგრამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მალე ბოლოს უღებენ დირექტორიასაც, რომელიც გარბის მატარებლით და რომელზედაც ხალხში ვრცელდება საოხუნჯო თქმულება: „ვაგონში დირექტორია, ვაგონს ქვეშ ტერიტორია". საბჭოთა ჯარები და აჯანყებულები სამხრეთ უკრაინიდან ერეკებიან ანტანტის ჯარებსაც.

1919 წლის იანვარ-თებერვალში უკრაინაში ისევ აღსდგა საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოების მე-III ყრილობა უკრაინას ისევ აცხადებს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად.

მაგრამ მტრები არ ისვენებენ. დენიკინისა და პეტლიურას ჯარები ატამანურ კულაკურ აჯანყებების გამოყენებით ახერხებენ საბჭოთა ხელისუფლების მეორეთ დამარცხებას. 1919 წლის შემოდგომაზე უკრაინას დენიკინის ჯარები იკავებენ.

მაგრამ კონტრრევოლუცია ვერ სტეხს უკრაინელი მშრომელი ხალხის გმირულ ნებისყოფას. ქვეყნის ყოველ კუთხეს ედება აჯანყებათა ტალღა, რომელსაც მამაცი ბოლშევიკები მეთაურობენ.

1920 წლის დასაწყისში უკრაინაში კვლავ საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალდა, მაგრამ ახლა უკვე სამუდამოდ.

ამდენი სისხლი, ამდენი მსხვერპლი დაუჯდა უკრაინის ხალხს ის, რომ თავისი ბედის ბატონ-პატრონი გამხდარიყო.

ამ სისხლმა, ამ მსხვერპლმა ამაოდ არ ჩაიარა. მან თავისი ნაყოფი გამოიღო და დღეს აყვავებული უკრაინა სოციალისტური დოვლათით გალაღებული თვალმარგალიტად ბრწყინავს საბჭოთა კავშირის 11 მოკავშირე რესპუბლიკის თანავარსკვლავედში.



სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატში

კომბაინერთა შრომის ანაზღაურების შესახებ

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და სსრ კავშირის მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატმა გამოსცეს ბრძანებანი „კომბაინერთა შრომის ანაზღაურების არსებული წესის დამატების შესახებ".

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს კომბაინერთა დაინტერესება მარცვლეულის მაღალმოსავლიანი ფართობების აღებით, რაც კომბაინერთა ძალღონის დიდ დაძაბვას მოითხოვს მუშაობაში, კომბაინერთა შრომის ანაზღაურების არსებულ წესში შეტანილია შემდეგი დამატებანი:

1. დაწესებულია, რომ კომბაინერი, რომელიც 15-ფუტიან კომბაინზე მუშაობს, პურის აღებული ჰექტარების რაოდენობისათვის არსებული ანაზღაურების გარდა, დღეში 80 ცენტნერს ზევით გალეწილ მარცვალზე ღებულობს ჯილდო-დანამატს შემდეგი რაოდენობით:

ა) კომბაინერი, რომელმაც დღეში გალეწა 80-დან 120 ცენტნერამდე კომბაინზე—15 კაპეიკს 80 ცენტნერს ზევით გალეწილ ყოველ ცენტნერზე;

ბ) კომბაინერი, რომელმაც დღეში გალეწა 120-დან 160 ცენტნერამდე კომბაინზე—20 კაპეიკს 80 ცენტნერს ზევით გალეწილ ყოველ ცენტნერზე;

გ) კომბაინერი, რომელმაც დღეში გალეწა 160 ცენტნერზე მეტი კომბაინზე—25 კაპეიკს 80 ცენტნერს ზევით გალეწილ ყოველ ცენტნერზე;

დ) კომბაინერი, რომელმაც მოსავლის აღების სეზონში გალეწა 2.000 ცენტნერზე მეტი მარცვალი კომბაინზე, ღებულობს დამატებითს ჯილდო-დანამატს 10 კაპეიკის რაოდენობით 2.000 ცენტნერს ზევით გალეწილ ყოველ ცენტნერზე;

ე) კომბაინერი, რომელმაც მოსავლის აღების სეზონში გალეწა 3.000 ცენტნერზე მეტი მარცვალი კომბაინზე, ღებულობს დამატებითს ჯილდო-დანამატს 15 კაპეიკის რაოდენობით 2.000 ცენტნერს ზევით გალეწილ ყოველ ცენტნერზე.

2. დაწესებულია, რომ კომბაინერი, რომელიც 20-ფუტიან კომბაინზე მუშაობს, პურის აღებული ჰექტარების რაოდენობისათვის არსებული ანაზღაურების გარდა, დღეში 90 ცენტნერს ზევით გალეწილ მარცვალზე ღებულობს ჯილდო-დანამატს შემდეგი რაოდენობით:

ა) კომბაინერი, რომელმაც დღეში გალეწა 90-დან 135 ცენტნერამდე კომბაინზე—15 კაპეიკს 90 ცენტნერს ზევით გალეწილ ყოველ ცენტნერზე;

ბ) კომბაინერი, რომელმაც დღეში გალეწა 135-დან 180 ცენტნერამდე კომბაინზე—20 კაპეიკს 90 ცენტნერს ზევით გალეწილ ყოველ ცენტნერზე;

გ) კომბაინერი, რომელმაც დღეში გალეწა 180 ცენტნერზე მეტი კომბაინზე—25 კაპეიკს 90 ცენტნერს ზევით გალეწილ ყოველ ცენტნერზე;

დ) კომბაინერი, რომელმაც მოსავლის აღების სეზონში გალეწა 2.400 ცენტნერზე მეტი მარცვალი კომბაინზე, ღებულობს დამატებითს ჯილდო-დანამატს 10 კაპეიკის რაოდენობით 2.400 ცენტნერს ზევით გალეწილ ყოველ ცენტნერზე;

ე) კომბაინერი, რომელმაც მოსავლის აღების სეზონში გალეწა 3.500 ცენტნერზე მეტი მარცვალი კომბაინზე, ღებულობს დამატებითს ჯილდო-დანამატს 15 კაპეიკის რაოდენობით 2.400 ცენტნერს ზევით გალეწილ ყოველ ცენტნერზე.

3. ორი კომბაინის გადაბმისას საუკეთესო კომბაინერი, რომელიც ამავე დროს აგრეგატის უფროსია, აგრეგატის უფროსის მოვალეობის შესრულებისათვის ღებულობს დამატებით ანაზღაურებას თავისი დღიური ხელფასის 10 პროცენტის რაოდენობით მოსავლის აღების სამუშაოთა პერიოდში.

4. ამას გარდა, სსრ კავშირის მიწსახკომის ბრძანებით დადგენილია კომბაინით მოსავლის აღების დროს კომბაინერთა თანაშემწეებისა და მტს-ების ტრაქტორისტების შრომის ანაზღაურების შემდეგი წესი:

ა) კომბაინით აღებისას—კომბაინერის თანაშემწეს ყოველ აღებულ ჰექტარზე დაერიცხება 0,45 შრომადღე; ტრაქტორისტს, რომელიც მუშაობს ტრაქტორზე ერთ კომბაინთან, ყოველ აღებულ ჰექტარზე დაერიცხება 0,50 შრომადღე; ტრაქტორისტს, რომელიც ორ გადაბმულ კომბაინთან მუშაობს, ყოველ აღებულ ჰექტარზე დაერიცხება 0,35 შრომადღე;

ბ) კომბაინერისათვის დაწესებული გამომუშავების დღიური ნორმის ზევით აღებულ ყოველ ჰექტარზე ტრაქტორისტებსა და კომბაინერის თანაშემწეებს შრომადღეები დაერიცხებათ ერთნახევარი ოდენობით.

5. სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატმა ვალდებულჰყვეს მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები:

ა) დააწესონ თვითეული კომბაინერის მიერ გალეწილი მარცვლის ყოველდღიური ზუსტი აღრიცხვა;

ბ) დაამუშაონ ბრძანებანი კომბაინერებთან, კომბაინერის თანაშემწეებთან და კომბაინის აგრეგატთა ტრაქტორისტებთან და საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველებთან.

სსრ კავშირის მიწსახკომისა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ბრძანებები დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

კიევი. უკრაინის ცაკის შენობა („სოიუზფოტო")

*

საბჭოთა უკრაინა

დ. ს. კოროტჩენკო.

უკრაინის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ 11 საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის უკრაინის რესპუბლიკას თავისი სამეურნეო ძლიერებითა და მოსახლეობის რაოდენობით რსფსრ-ის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს.

რევოლუციის წინადროინდელ უკრაინას სჩაგრავდნენ და ძარცვავდნენ თურქეთის სულთანები, თათართა ხანები, პოლონეთის შლიახტა, რუსეთის კაპიტალისტები, დასავლეთის იმპერიალისტები. „რევოლუციამდე უკრაინას ექსპლოატაციას უწევდნენ დასავლეთის იმპერიალისტები, ასე ვთქვათ, ჩუმ-ჩუმად, „საომარი ოპერაციების" უწარმოებლად. მოაწყეს რა უკრაინაში უდიდესი საწარმოები (ქვანახშირის, ლითონის დარგში და სხვ.) და ხელთ იგდეს რა აქციების მეტი ნაწილი, საფრანგეთის, ბელგიისა და ინგლისის იმპერიალისტები სისხლს სწოვდნენ უკრაინელ ხალხს ლეგალური, „კანონიერი" წესით, უხმაუროდ" (სტალინი) *).

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ უკრაინის მიწა-წყალი გასწმინდა რუსეთელ, უცხოელ და უკრაინელ ექსპლოატატორთაგან — ფაბრიკანტებისა და მემამულეებისაგან, ხუცებისა და კულაკებისაგან, მევახშეებისა და სპეკულანტებისაგან.

დიდი რუსი ხალხის უაღრესად აქტიური ძმური დახმარებით უკრაინის მშრომელმა ხალხმა, კომუნისტური პარტიისა და პროლეტარული რევოლუციის გენიოსების — ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, თავისი მიწა-წყლიდან გაძევა გერმანელი, პოლონელი და სხვა იმპერიალისტი ოკუპანტები და დამპყრობლები. აიღო ძალა - უფლება ხელში და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში უკრაინა გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთერთ უმდიდრეს რესპუბლიკად, მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად, მოწინავე სოციალისტური სოფლის მეურნეობით, ქვეყნად, რომელიც წარმოადგენს ურყევ ფორპოსტს, ფხიზლად რომ იცავს ჩვენი სამშობლოს საზღვრებს.

სტალინური ხუთწლედების წლებში გიგანტურად გაიზარდა უკრაინის სოციალისტური მრეწველობა.

1937 წელს უკრაინის სსრ მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციამ 7-ჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა 1913 წლის დონეს.

დონეცის ქვანახშირის ბასეინი (უკრაინის სსრ ფარგლებში), რომელმაც პირველი და მეორე ხუთწლედების წლებში ძირითადი სოციალისტური რეკონსტრუქცია განიცადა, ჩვენს ქვეყანას 1937 წელს მისცა 67.103 ათასი ტონა ქვანახშირი (სამჯერ და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე იძლეოდა კაპიტალისტური დონბასი 1913 წელს), ამასთან მექანიზებული წესით ამოღებულ იქნა ქვანახშირის 90 პროც. ქვანახშირის ამოღების მხრივ უკრაინის რესპუბლიკამ გაუსწრო პოლონეთს, იაპონიას, საფრანგეთს და მსოფლიოში მეოთხე ადგილი უჭირავს.

უკრაინის მეტალურგიულმა ქარხნებმა უკვე 1936 წელს გამოადნეს 9 მილიონი ტონა თუჯი — ეს ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე მეფის მთელი რუსეთი იძლეოდა 1913 წელს, თითქმის ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე ადნობენ ამჟამად საფრანგეთში, და ოთხჯერ უფრო მეტია, ვიდრე ადნობენ იაპონიაში. მარტო მაკეევკის კიროვის სახელობის მეტალურგიული ქარხანა აწარმოებს იმდენსავე თუჯს, რამდენსაც იძლევიან ერთად პოლონეთი და იტალია. საბჭოთა უკრაინაში ფოლადის გამოდნობა შვიდჯერ აღემატება პოლონეთისას.

კოლოსალურად გაიზარდა ელექტროენერგიის წარმოება — მან ომამდელ დონეს 17-ჯერ გადააჭარბა. მარტო დნეპრის ჰიდროელექტროსადგური იძლევა მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე იძლეოდა მეფის მთელი რუსეთი.

უკრაინაში აღმოცენდნენ და განვითარდნენ მრეწველობის ახალი დარგები. ათვისებულია ტრაქტორების, ალუმინის, მაგნიუმის, თუთიის, მაღალხარისხოვანი ფოლადების, ორთქლის მძლავრი ტურბოგენერატორების, ზემძლავრი ორთქლმავლების, კომბაინების და სხვ. წარმოება. სტალინური ხუთწლედების წლებში აგებულ იქნა დნეპროგესი, ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, დნეპროვსკის ალუმინის კომბინატი, „ზაპოროჟსტალი", „აზოვსტალი", კრივოიროგის მეტალურგიული კომბინატი, ხარკოვის ტურბოგენერატორების ქარხანა, ვოროშილოვგრადის ორთქლმავალთსაშენი ქარხანა, ზაპოროჟიეს კომბაინის ქარხანა და მრავალი სხვა პირველხარისხოვანი ქარხნები, რომლებიც ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც.

სწრაფი ტემპებით ვითარდება კვების და მსუბუქი მრეწველობა. კვების მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 1913 წელთან შედარებით ერთისამად და უფრო მეტად გაიზარდა.

მრეწველობის ზრდასთან ერთად გაიზარდა უკრაინის მუშათა კლასიც. მომზადებულია მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსულ ინჟინერ - ტექნიკოს მუშაკთა ახალი კადრები. მარტო უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში — 1927 წლიდან 1937 წლამდე — მსხვილ მრეწველობაში საინჟინერო-ტექნიკური პერსონალის რაოდენობა ერთიხუთად გაიზარდა.

საბჭოთა უკრაინა სამშობლოა სტახანოვური მოძრაობისა, რომელიც დონბასში ჩაისახა. ეს მძლავრი მოძრაობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებს მოედო. ათასობით სტახანოველები, რომლებმაც დაამსხვრიეს ძველი, საზღვრითი ნორმები, შრომის ნაყოფიერების უმაგალითო ნიმუშებს გვიჩვენებენ. წარჩინებულ სტახანოველთა—ალექსი სტახანოვის, პეტრე კრივონოსის, მაკარ მაზაის გამოცდილებაზე იზრდებიან მილიონობით ადამიანები.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებებმა, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ სრულიად შეუცვალა სახე უკრაინის სოფელს.

მეფის დროს უკრაინის ტერიტორიაზე 41 მილიონი დესეტინა მიწიდან 14 მილიონი დესეტინა საუკეთესო მიწები ეკუთვნოდათ მსხვილ მიწათმფლობელებს, მემამულეებს, მონასტრებს, კაპიტალისტებს, 7½ მილიონი დესეტინა ეკუთვნოდათ კულაკებს. ამრიგად, მსხვილ მიწათმფლობელთა და კულაკთა ხელში თავმოყრილი იყო მთელი მიწების ნახევარზე მეტი.

ყოველივე ეს სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას! აღარ არიან მემამულეები და სოფლისჭამია კულაკები!

კოლმეურნე გლეხობა აშენებს შეძლებულ ცხოვრებას თავისუფალ საბჭოთა მიწაზე. უკრაინის კოლმეურნეობებში გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა 96,2 პროცენტი.

საკოლმეურნეო მეურნეობა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. უკრაინის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე ამჟამად მუშაობს 88 ათასზე მეტი ტრაქტორი, 27 ათასი კომბაინი, ათასობით სხვა მანქანები. კოლმეურნეობათა სათესი ფართობების 99 პროცენტს მომსახურებას უწევენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

უკრაინა სრული უფლებით ითვლება საბჭოთა კავშირის პურის ქვეყნად. 1937 წელს მარცვლეულ კულტურათა საერთო მოსავალი გამოიხატა მილიარდ სამასი მილიონი ფუთით. 1937 წელს უკრაინამ ხორბლის მოსავალი აიღო მეტი, ვიდრე გერმანიამ, პოლონეთმა და უნგრეთმა ერთად. უფრო და უფრო იზრდება ტექნიკური კულტურების — სელის, ჭარხლის, ბამბის, თამბაქოს, ბრინჯის—ნათესები. რევოლუციის წინადროსთან შედარებით უკრაინა სთესს ორჯერ უფრო მეტ კარტოფილსა და ბოსტნეულ კულტურებს.

ხუთასიანების — დემჩენკოს, გნატენკოს, ბაიდიჩის მიერ საკოლმეურნეო მინდვრებზე დაწყებულმა სახელოვანმა სტახანოვურმა მოძრაობამ უკრაინაში ათასობით წარმოშვა მაღალი მოსავლის ოსტატები. კოლმეურნეთა წრიდან აღიზარდნენ საუცხოო აგრონომების, ტრაქტორისტების, კომბაინერების, მექანიკოსების, შოფერების კადრები.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მთელი სახალხო მეურნეობის ზრდასთან ერთად, კოლმეურნეობებისა და მათი შემოსავლიანობის ზრდასთან ერთად განუხრელად იზრდება მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობა. მარტო უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში (1926-დან 1936 წლამდე) ერთი მუშისა და მოსამსახურის წლიური საშუალო ხელფასი გაიზარდა 4,1-ჯერ.

იზრდება და ვითარდება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. რევოლუციამდე უკრაინის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ამჟამად ჩვენში განხორციელებულია საყოველთაო დაწყებითი სწავლება, რომელიც დედაენაზე სწარმოებს. უკრაინის საშუალო სკოლებში ამჟამად სწავლობს 4.304 ათასი მოსწავლე. ეს 26-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე 1914-15 სასწავლო წელს იყო. უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობა თითქმის 5-ჯერ მეტია, ვიდრე რევოლუციამდელ უკრაინაში იყო, ხოლო ტექნიკუმებში — 6-ჯერ მეტი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა რიცხვი. ამჟამად უკრაინაში არის 278 სამეცნიერო დაწესებულება, ნაცვლად 1917 წლის 28-ისა.

◆

უკრაინელი ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მიღწეულია პარტიის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად განხორციელების შედეგად. დიდი და უსაზღვროა საბჭოების ქვეყნის ხალხთა მიღწევები. შრომასა და შემოქმედებაში საბჭოთა ხალხი გამოხატავს მადლობისა და ერთგულების გრძნობას დიადი კომუნისტური პარტიისადმი, ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინისადმი, ვისი ხელმძღვანელობითაც მოპოვებულია ყოველივე ის, რაც ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში, — ჩაწერილია მტკიცედ, ურყევად, სამუდამოდ! საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო, თავისი საბჭოთა ხელისუფლება, თავისი ბოლშევიკური პარტია.

მხეცური სიძულვილით და სიხარბით შესცქერიან უკრაინის მიწის უდიდეს სიმდიდრეებს გერმანელი და პოლონელი ფაშისტი თავზეხელაღებულები. ფაშისტებმა და მათმა დაქირავებულმა აგენტებმა—საზიზღარმა ტროცკისტ-ბუხარინელ რიკოველმა ბანდიტებმა და ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა განიზრახეს წაერთმიათ მუშებისა და გლეხებისათვის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი მონაპოვარნი, სისხლის ზღვაში ჩაეხრჩოთ ჩვენი ქვეყანა. ეს მკვლელთა ბანდა ცდილობდა ჩამოეშორებინა უკრაინა სსრ კავშირისაგან და უკრაინაში დაემყარებინა ფაშისტური დიქტატურა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგი სტალინის უდიდესი სიფხიზლის მეოხებით, სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის დაუღალავი მუშაობის მეოხებით, დაზვერვის, რომელსაც ხელმძღვანელობს ხალხისთვის საყვარელი ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვი, გამცემელთა და მოღალატეთა საზიზღარი ბანდა აღგვილია საბჭოთა წმინდათა-წმინდა მიწის პირისაგან.

უკრაინა იყო, არის და მუდამ იქნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირის განუყოფელი ნაწილი. უკრაინელი მუშები და გლეხები, რომლებმაც სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკის მუშებთან და გლეხებთან ძმურ კავშირში მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლება, არასოდეს არ დაუშვებენ ფაშისტ იმპერიალისტებს თავის მიწა-წყალზე. რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, აზერბაიჯანელი, ქართველი ხალხების და სსრ კავშირის ყველა სხვა ხალხების ურყევი ძმური კავშირი გააცამტვერებს და პირისაგან მიწისა აღგვის ხალხის ყველა მტრებს.

საბჭოთა უკრაინას მომავალშიც მაღლა ეჭირება კომუნიზმის ყოვლისმძლეველი დროშა, იგი ფხიზლად დაიცავს საბჭოთა კავშირის საზღვრების დაურღვევლობას.

26 ივნისს უკრაინელი ხალხი აირჩევს თავისი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — უკრაინის სსრ უმაღლეს საბჭოს. აყვავებული საბჭოთა უკრაინის მშრომელი მასები მომავალ არჩევნებს შეეგებნენ საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობით. ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, რკინიგზებზე და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე, სასწავლებლებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში — უკრაინის სსრ მშრომელნი ყველგან გვიჩვენებენ სტახანოვური შრომის ახალ ნიმუშებს.

უკრაინის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები მოიმოქმედებენ ყველაფერს, რათა უზრუნველჰყონ მასების პოლიტიკური აქტივობის შემდგომი აღმავლობა, მომავალ არჩევნებში კიდევ უფრო განამტკიცონ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი, უკრაინის რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აირჩიონ ხალხის ერთგული შვილები, რომლებიც ბოლომდე თავდადებული არიან ლენინ-სტალინის დიადი, უძლეველი საქმისათვის.

---

*) ი. სტალინი. სტატიები და სიტყვები უკრაინის შესახებ. უკრ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1936 წ. გვ. 67.

ბელორუსიის თავისუფალი ხალხის დიდი დღესასწაული

მინსკი. წითელი არმიის სახლი („სოიუზფოტო")

„ვეჩედან" უმაღლესი საბჭოს არჩევამდე

მოკლე ბელორუსი ხალხის წარსულიდან

ბელორუსიის ერი ერთერთი ყველაზე ახალგაზრდათაგანია საბჭოთა კავშირის მოძმე ერთა შორის. ისტორიკოსების გადმოცემით, ბელორუსთა ეროვნების ჩამოყალიბება მოხდა მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში, რასაც, თურმე, ძველი გერმანული ქრონიკებიც ადასტურებენ. მე-14 საუკუნის გერმანულ ქრონიკებში მკვლევარები უკვე ხვდებიან ახალ გამოთქმას —„ალბა როსია", რაც თეთრ რუსეთს ნიშნავს.

ისტორიკოსები იმასაც მოგვითხრობენ, რომ მაშინ ბელორუს ხალხის საერთო საკითხების მოგვარებას ხელმძღვანელობდა ე. წ. სახალხო „ვეჩე". შემდეგ კი ბელორუსიის ტერიტორია გამოეყო კიევის სამთავროს და სახელმწიფო მართვა-გამგეობის სადავე ხელთ ჩაიგდო ბელორუსიის მთავართა დინასტიამ.

მიუხედავად შედარებითი ახალგაზრდობისა, ბელორუს ხალხს დიდი და მრავალფეროვანი ისტორიულ - რევოლუციური წარსული აქვს. ბელორუსი ხალხის რევოლუციური ტრადიციების სათავე იწყება იმ პერიოდიდან, როდესაც ბელორუსიის მიწა-წყალზე რუსეთის თვითმპყრობელობის დროშა აფრიალდა. თვითმპყრობელობამ დაიწყო ბელორუსების შევიწროვება, მათი ენისა და კულტურის დევნა. ეკატერინე მეორის მთავრობამ მიწები ჩამოართვა იმ ბელორუსებს, რომლებმაც არ ისურვეს ფიცის მიღება რუსეთის დედოფლის ერთგულებაზე და ეს ჩამორთმეული მიწები დაურიგა რუს მემამულეებსა და უმაღლესი თანამდებობის მოხელეებს. მიწაჩამორთმეული ბელორუსი გლეხები და წვრილი მესაკუთრენი კი გაასახლეს იმპერიიდან. ამ ამბებმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია მთელ ბელორუსიაში. შემდეგ ცარიზმმა დახურა ვილნოს უნივერსიტეტი, ერთერთი ყველაზე ძველი სამეცნიერო დაწესებულება მთელს მაშინდელ იმპერიაში. სამაგიეროდ გახსნეს რუსული სკოლები და შეუდგნენ ალვირახსნილი რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებას.

ბელორუსიის ისტორიას ახსოვს ბრწყინვალე ამბავი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლისა ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთში ის-ის იყო ისახებოდა რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა. პოლონეთის აჯანყებისას, 1863 წელს, კასტუს კალინოვსკიმ შექმნა ბელორუს გლეხთა წითელი რაზმები, რომლებმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს რუსეთის თვითმპყრობელობას და თვით ბელორუს მემამულეებს. ერთი წლის განმავლობაში იბრძოლეს ამ რაზმებმა, მაგრამ ბოლოს დამარცხდნენ, ხოლო მათი მეთაური კალინოვსკი, რომლის სახელი ახლაც ცოცხალია ბელორუს ხალხში, მეფის ჯალათებმა ჩამოახრჩეს.

ეს 1864 წელს იყო. შემდეგ პერიოდში ბელორუსი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის მტკიცედ იყო დაკავშირებული რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან. 1905 წელს ბელორუსია გახდა დიად რევოლუციურ ბრძოლათა ასპარეზი. იანვრიდან დაწყებული მთელი ათი თვის განმავლობაში გრძელდებოდა აჯანყებები, შეტაკებები პოლიციასთან, გაფიცვები და მანიფესტაციები. ბელორუსიის ახლანდელ დედაქალაქში, მინსკში, 1905 წლის 17 ოქტომბერს თვითმპყრობელობამ ხალხის შემაძრწუნებელი ჟლეტა გააჩაღა. ქალაქის ერთერთ მოედანზე მოწვეული იყო მიტინგი. გაიგო თუ არა ეს ამბავი ადგილობრივმა გუბერნატორმა კურლოვმა, გასცა განკარგულება დაეცლიათ ხალხისთვის მიტინგზე შეკრივება და შემდეგ მთელი მიტინგი დაეხვრიტათ. მიტინგზე თავმოყრილ უიარაღო მშრომელებს თავს დაასხეს ჯარი, რომელმაც ხალხს გაუფრთხილებლივ აუტეხა სროლა. მოკლულთა რიცხვი 50-ზე მეტი იყო, ხოლო დაჭრილთა—300-ზე მეტი. რეაქციამ გაიმარჯვა.

დიდი იმპერიალისტური ომის საშინელებათა მთელმა სიმძიმემ უშუალოდ ბელორუსიის ტერიტორიაზე გადაიარა. ომის დროს ბელორუსიაში დაინგრა ათასობით სოფელი და ქალაქი, განადგურდა საუკუნეების განმავლობაში ხალხის მიერ შექმნილი დოვლათი.

შემდეგ მოხდა დიადი ოქტომბრის რევოლუცია. ქალაქი მინსკი გადაიქცა რევოლუციური ბელორუსიის ცენტრად. მაგრამ არ ისვენებდნენ კონტრრევოლუციის შავბნელი ძალები. 1917 წლის 27 ოქტომბერს მინსკი აიღეს კონტრრევოლუციურმა ჯარებმა და ხელისუფლებას სათავეში წვრილბურჟუაზიული პარტიები ჩაუდგნენ. 1918 წლის 1 იანვარს ბელორუსიაში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც შემდეგ სისხლის მორევში ჩაახრჩო პოლონეთიდან შემოჭრილმა პილსუდსკელ დამპყრობელთა არმიამ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გმირულმა წითელმა არმიამ დაამარცხა პოლონელი პანების ურდო, ბელორუსმა ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. 1920 წლის 11 ივლისს ბელორუსიის ხალხმა განდევნა დამპყრობლები და აღმართა თავისუფალი დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური ბელორუსიის წითელი დროშა.

აყვავდა და აღორძინდა ბელორუსთა ქვეყანა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ჩქარა მოიშუშა მან წარსულ შავბნელ დროთა განმავლობაში მიღებული ჭრილობები და დღეს თავისუფალი და გმირი ბელორუსი ხალხი ზეიმობს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს. ბელორუსია, ჩვენი დიადი სამშობლოს სიმტკიცისა და ძლიერების ციტადელი, აუღებელ ციხე-სიმაგრედაა აღმართული დიადი სოციალისტური ქვეყნის დასავლეთის საზღვარზე, მოძმე ბელორუსი ხალხის დღევანდელ ისტორიულ სიხარულს აღფრთოვანებით ინაწილებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელები.

ილო. მოსაშვილი

ბელორუსიაში

შენ გაიარე ხმელეთის ძირი,
მზის დასავალზე ჩასმული მიჯნა,
სადაც ოდესღაც ქვეყანა მწირი,
მკერდით ხაშმიან ტბორებში იჯდა.

შენ გადასჭერი ველები ფართო,
ცრემლით მორწყული დიდი ქვეყანა,
რომლის დაკაწრულ ხნულებში მარტო
ბებერი ცხენის ძვლები ეყარა.

იდგნენ ქოხები ისლით და ნეხვით,
დამნაშავენი საკუთარ თავთან
და დაცვეთილი კბილებით გლეხი,
ნაცრიან ხმიადს ძვალივით ხრავდა.

სად იყო შენი დოვლათი გუშინ,
ბელორუსიის რძიანო მიწავ,
შენი პატრონი კვამლიან ღრუში,
დასიებული თვალებით იწვა.

შენი ვაჟკაცი — სხვისთვის მთესავი,
ტრიალ მინდორზე ჩრდილივით იდგა,
იდგა ჭაობში გამხმარ ხესავით
და ტიტველ ტოტებს ავდარში ხრიდა.

სადღაც კი მარტო მშიერი ძაღლი,
გაბმით უყეფდა უკაცურ ერდოს
და შენს კალთებზე ყოველი სახლი,
საძმო საფლავის ქვასავით ეგდო.

ახალო გმირო, გამოჩნდი ურჩი,
ხარაჩოები ამართე ცისკენ
და ჩააწვინე ბელტები ხნულში,
შენი ლითონის ზოდების სისქე.

აახმაურე ქარხნების ყელით,
ისლის ქოხები — დღემდე ოხერი
და როგორც შვილი სამშობლოს მხსნელი,
დიდი სტალინის დროშით მოხველი.

სადღაა ეხლა დამპალი ხავსი,
მიწას რომ მოსდო ჭაობის შმორმა,
დოვლათით სავსე მინდვრების თავზე,
საბრძოლო ზარით გუგუნებს შრომა.

და შენ, მეორე სამშობლო ჩემო,
დიდი საბჭოთა ქვეყნის ნაჭერო,
შენი გმირული მარჯვენის ცემა,
ვერც ერთმა ძალამ ვერ შეაჩეროს.

სანამდე ცაში სხივივით მოსჩანს,
მახვილი კრემლზე ამართულ ანძის
და ზედ გაშლილი ბელადის დროშა,
სიბრძნით ანათებს მსოფლიო მანძილს.





მინსკი. ბელორუსიის მთავრობის სახლი („სოიუზფოტო")



დონბასში ამუშავდა მსოფლიოში პირველი მიწისქვეშა გაზიფიკაციის სადგური.

ბელორუსი ხალხის დეპუტატობის კანდიდატები

ბელორუსი ხალხი დღეს ზეიმობს თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევის დღეს, ზეიმობს თავისი შვილების თავდადებული ბრძოლით მოპოვებულ გამარჯვებებს, რომლებიც ოქროს ასოებით ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში.

მათი ერთსულოვანი სურვილი იყო ხმა მიეცათ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედისათვის დიდი სტალინისათვის, რომელმაც მსოფლიოს ერთ მეექვსედზე მშრომელებს ბედნიერი და საამური ცხოვრება შეუქმნა. და ეს ბედნიერება წილად ხვდათ ქალაქ მინსკის სამრეწველო საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს, რომელთაც დიდმა ბელადმა თანხმობა მისცა მათთან იყაროს კენჭი ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

ქალაქ მინსკის ძერჟინსკის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს ბედნიერება აქვთ კენჭი უყარონ დიდი ბელადის საუკეთესო თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურს ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, პირველი მარშალი ამხ. კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი კენჭს იყრის ქალაქ მინსკის მოლოტოვის საარჩევნო ოლქში. ქალაქ ვიტებსკის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები კენჭს უყრიან საბჭოთა დაზვერვის შეუდგარ ხელმძღვანელს, ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშთა, ბოროტ სისხლიანი ფაშიზმის აგენტთა თავზარდამცემს — ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვს.

საუკეთესო სტალინელი, მძიმე მრეწველობისა და გზათა რკინის სახკომი ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი დღეს კენჭს იყრის ქალაქ გომელში ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

ქალაქ მოგილიოვის მშრომელები დღეს ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს უყრიან ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს.

ბელორუსიის მშრომელი ხალხის დეპუტატობის კანდიდატთა სიაში ჩვენი ქვეყნის საამაყო ხელმძღვანელებთან ერთად ნახავთ: ეკატერინე იაკობის-ასულ კულბას—მინსკის ოლქის პადვაის სოფლის საბჭოს საკოლმეურნეო ფერმის გამგეს, სოფიო იულიანეს-ასულ მიკლაშევსკაიას — მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის სტახანოველ ბრიგადირს, უხვი მოსავლიანობისათვის თავდადებულ მებრძოლს, კომკავშირელს ამხ. დიმიტრი ნიკიფორეს-ძე მაიროვს, ივანე ვასილის-ძე ვასილიევს—ბელორუსიის მესაზღვრე ჯარების პოლიტსამმართველოს უფროსს... და ქვეყნის მრავალს სხვა საამაყო შვილს, რომელთაც წინათ, რევოლუციამდე, არათუ ხელისუფლების სათავეში, არამედ თავიანთ ქოხმახშიაც არ ეყენებდნენ თვითმპყრობელობის ქოფაკები.

ბელორუსიის ხალხი, თავის საამაყო შვილთათვის ხმის მიცემით, ხმას მისცემს ლენინ-სტალინის პარტიის დიად საქმეს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

უკვდავება

თავი ბელორუსულ მოთხრობიდან.

მოხუცის დაუცხრომელ ცხოვრებას აზრი მიეცა და ფასი დაედო. განა ოდესმე იფიქრებდა, რომ ეს გადაყრუებული, სიკვდილისაგან მივიწყებული ბებრუხანა საქვეყნო საქმეში ხელს გაერევდა! ახარებდა პისკუნის ხდომა. ახარებდა, რომ საჭირო კაცი გახდა.

დილიდან საღამომდე ტყეში დაღასლასებდა, მივარდნილ ხუტორებში მოხეტიალე გერმანელებს უთვალთვალებდა, ტანკზე აკვირდებოდა. მოხუცი ხელად ამჩნევდა, ვის ეცვა უფრო თბილად, ვიდრე საჭირო იყო, ან საეჭვო ღიპი რომელს ეკიდა. ისინი ქოხებში დასუნსულებდნენ და ცოტა-ხნის შემდეგ გამხდრები და გაშილიფებულები გამოდიოდნენ ეზოდან.

ბაბუა რუხლომ იცოდა, რომ ჯიბე-სქელი და ნამუსის შემნახველი მუშტარი თუ გამოჩნდებოდა, ისინი ყველაფერს ეკისრებოდნენ. გალოთებული ჯარისკაცები ჩარექა არაყში და მურაკის ბარკალში სულს მიჰყიდდნენ ეშმაკს.

და რუხლოც ყიდულობდა თოფებს, მალავდა სარდაფში და შურისგებით ამბობდა: „ეს ცხენის წართმევისათვის, ეს იმიტომ, რომ მიხას შინ არ სძინავს, ეს ჩემი სიბერის გამწარებისათვის....

ტყეში ხშირად უხდებოდა სიარული. ეჭვი რომ არავის მიეტანა, მგლებს უგებდა საწამლავს. ჩანთაში მუდამ ეყარა მოწამლული ხორცი.

გეტმანის ჟანდარმები ხედავდნენ, რომ გერმანელები სამხედრო ქონებას ინიავებდნენ, მაგრამ თავგასულ „მოკავშირეს" ვერაფერს უბედავდნენ. სამაგიეროდ პირველსავე ხეზე აღრჩობდნენ, ვისაც ჯარისკაცისაგან ნაყიდი იარაღი აღმოაჩნდებოდა. დღე ერთი იყო და ჩხრეკა ათასი.

ბაბუა რუხლოს მეზობელს, ტერენტი უჟკს საკვამურში ყარაბინა უპოვეს. იგი შორს არ წაუყვანიათ. ეზოს გარეთ, უჟკისა და რუხლოს მიჯნაზე ტოტებ-გადაბარდნილი, მეწლე ვაშლის ხე იდგა. მოსავლიან წლებში მეზობლები ძაღლებივით ულრენდნენ ერთმანეთს. იყო ერთი მიწევ-მოწევა და „გამიშვი-გამოუშვის" ძახილი. უჟკი ამტკიცებდა, ვაშლი ჩემია, რადგან მთავარი ტოტები ჩემს ეზოში აქვს გადმოშვერილიო.

— ტოტს რა ბრალი აქვს! სადაც უნდა, იქით გაიზრდება,—ხლიჩინებდა გალოფებული ბაბუა და ფიცით არწმუნებდა ყველას, რომ ვაშლი მისი დარგული იყო.

— რაღა ეზოს გარეთ დარგე, შე კაცო?!—უკვირდა ტერენტის.

გადამტერებული მეზობლები დღე-ღამე ერთმანეთს უთვალთვალებდნენ. საყოფს დამწიფებას არ აცლიდნენ, დახუნძლულ ტოტებს ჩუმჩუმად ჰკლოკს დაუშენდნენ და ეზოდან ღორებს გამოდენიდნენ.

ტერენტი უჟკი ამ ხეზე ჩამოახრჩვეს. სახლიდან ძლივს გამოაქირეს. ხელიდან უსხლტებოდა ჟანდარმებს, ხან კიდობანს ჩაეჭიდებოდა ხელს, ხან ცოლის კაბას მისწვდებოდა. ყველაფერს ებღაუჭებოდა, რაც შინ იყო. უკანასკნელად კარებს შეეცივდა. მთელი ძალა თითებში დაუგროვდა. სანამ ცემისაგან გრძნობა არ დაკარგა, ხელი ვერ გააშვებინეს. არც გაუგია, როგორ ასწიეს და ჩამოკიდეს.

ტერენტი უჟკი საღამომდე დასტოვეს ხეზე. იგი დაბლა ეკიდა, მისი გაშეშებული ცერები თითქმის ეხებოდა გადამხმარ ბალახს. მოშორიდან ისე მოჩანდა, თითქოს ტერენტი ჩაფიქრებული შემდგარა ხის ქვეშ. მაგრამ ქარი რომ დაუბერავდა, მაშინ ტერენტიც ირხეოდა; ფეხები მართლა არ ედგა მიწაზე.

შეძრწუნებულმა ბაბუა რუხლომ დარაბები მოხურა, საჭმელს პირი ვერ მიაკარა. ტახტზე დაემხო, სულერთიანად მოიკუნტა, მუჯის-ტოლა გახდა. ისე ირხეოდა, თითქოს მთავარი სული ეპარებოდა.

„რაღა იმ ხეზე, რაღა იმ ხეზე!" ბუტბუტებდა მოხუცი. სწუხდა, რომ ამ ცოდვილიანი ვაშლისხის გამო იმდენი წყენა და ავი სიტყვა შეახვედრა მეზობელს.

შებინდებისას უჟკი ჩამოხსნეს. ბაბუამ შეიცადა, სანამ გვამს წაიღებდნენ. მერე ნაჯახს ხელი დაავლო და ვაშლისხეს მიადგა. ძირში მოსჭრა და დაჩეხა.

მეზობლის ბედმა რუხლო ვერ შეაშინა. ყიდულობდა თოფებს, მალავდა სარდაფში და შურისგებით ამბობდა: „ეს ტერენტი უჟკის სახელზე იყოს, ეს გრაბკოს, ეს მიკოლას".

ბაბუა რუხლო დაღუპულ მეზობლებას სახელზე ყიდულობდა თოფებს. ეს იყო ახალი გრძნობა. ეს გრძნობა ყოველგვარ შიშზე და ხიფათზე ძლიერი აღმოჩნდა.

თოფების გატანა თავად პისკუნმა იკისრა. ტყეში ბევრი დალისილი ვაჟკაცი იყო, მაგრამ რუხლოსთან მიმოსვლა მაინც ვერავის მიანდო. თვალის-ჩინივით უფრთხილდებოდა თავდადებულ მოხუცს. ხიბლავდა მისი უანგარობა და სულიერი მხნეობა.

კვირაში ორჯერ მოაკითხავდა რუხლოს. ყოველ გზობაზე ორი-სამი თოფი მიჰქონდა, და მერე სოფელს ამდენივე გლეხი აკლდებოდა, თოფებს ახალი პატრონები უჩნდებოდნენ, და რუხლო ბედნიერი იყო, პისკუნის სიხარულს რომ ხედავდა.

ერთხელ პისკუნმა მთელი კვირა დაიგვიანა. ბაბუამ მოსვენება დაკარგა. დაბინდებიდან გათენებამდის ცეცხლის-პირას იჯდა და ნაცნობ კაკუნს ელოდა. ხანდახან ჩასთვლემდა და საზარელი სიზმარცხადი ხილვებს გაუშვებდა. სისხლი ეყინებოდა. ხეზე ჩამოკიდებული კაცი ელანდებოდა, მხოლოდ ფეხებს ხედავდა, მხოლოდ ტერფებს, რომლებიც მიწასთან ძალზე ახლოს იყვნენ, მაგრამ მიწაზე მაინც არ იდგნენ. ჩამოხრჩობილს სახე არ უჩანდა, მაგრამ მოხუცი გრძნობდა, რომ ეს კაცი ტერენტი უჟკი არ იყო.

ცივ ოფლში გაწურული მოხუცი ძილში გმინავდა, იღვიძებდა და ძაღლსაც აღვიძებდა. უხაროდა, როცა მისი ერთადერთი თანამოსახლე მასთან ერთად ფხიზლობდა. უამისოდ ძნელი იყო მარტოობის ატანა.

პისკუნი მეორე კვირას გამოჩნდა.

— რატომ დაიგვიანე!—ჰკითხა გულაჩვილებულმა მოხუცმა. „რატომ გამამწარე!"—დაუმატა მისმა თვალებმა.

— გადამაკებს წავაწყდით... შენი ნაყიდი თოფები გავსინჯეთ. არა უშავს, კარგად ისვრიან,—სიცილით უთხრა პისკუნმა.

ტყეში დაბრუნება ეჩქარებოდა. თოფები ძალამში შეჰკრა და მაშინვე წავიდა. ალბად სიჩქარის ბრალი იყო, რომ მუდამ გულხმიერმა პისკუნმა ვერ შენიშნა, რამდენი სინაზე და სიყვარული იხატებოდა მოხუცის თვალებში და ხელებში, როცა ისინი ერთმანეთს ეთხოვებოდნენ.

* * *

ბაბუა რუხლომ ცას ახედა, თითქოს ღრუბელი მოყნოსა, თბილი და ბუმბულივით მსუბუქი ღრუბელი.

— მოთოვს,—ჩაილაპარაკა მან.

მოხუცი სუნზე ატყობდა, რომ ეს ღრუბელი თოვლისა იყო. იგი თანდათან თეთრდებოდა, სინათლე მატულობდა და ყოველ საგანს სიცხადე და სიმტკიცე ეკარგებოდა. გაძარცვული ხეები, შარაზე მიმავალი კაცები, სახურავზე ასვეტილი კვამლი,—ყველაფერი ბუნდათ მოსჩანდა, როგორც გამოუტანელ სიზმარში.

დუმილიც მატულობდა, თითქოს ქარი უკვე ჩადგა, მდინარე დაშრა და ძაღლებმაც ყეფა შესწყვიტესო. მაგრამ არა, ბუნების მაჯა მთელის ძალღონით ფეთქდა. ქარი ისევ ატკაცუნებდა შიშველ კენწეროებს, წყალიც ბლომად იყო მდინარეში და არც ძაღლები იყვნენ მშვიდათ, მაგრამ ასე უხვად ჩამობარდნილი ღრუბელი ყოველგვარ ბგერას აყრუებდა, ახუნებდა და ახლობელი ხმაურიც კი შორეულად ეჩვენებოდა ადამიანს.

ღრუბელი უფრო ჩამოწვა და რაღაც არამიწიერი სითბო ჩამოიტანა. ყვავებმა ძლიერ შეაფართხუნეს ფრთები და დაბლა-დაბლა დაიწყეს ფრენა. ისინი გაბმით ყრანტალებდნენ. შეჭირხლულ ბუჩქებს ორი-სამი აბურძგნული ბელურა მოსწყდა, შურდულივით ჩაუქროლა ბაბუას და გომურს შეაფარა თავი.

ჰაერში შრიალი გაისმა და სულმოუთქმელად ჩამოიფქვა ხოშკაკალა. იგი აფარხუნებდა ზვინებს, აციმციმებდა ტბას წყალს, აცვენდა აქა-იქ დარჩენილ ფოთოლს და მიწაზე დავარდნილს ვერ ასწორებდა, რომ უკვე დნებოდა, ტალახს აყენებდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე წამს. მერე შრიალ-ტრიალით წამოვიდა მსხვილი და მშრალი ფანტელა.

უხვად ბარდნიდა. ხელად შეიმოსნენ ხეები. მაგრამ აგერ ქარი მოსძალდა და ისე დარია ხელი ფანტელებს, რომ ჰაერში რძისფერი ბუღი ავარდა. ორიოდე ნაბიჯზე თვალი ვერ აუწვდა. მბრწყინავე ფიორი თავაწყვეტილ ფერხულს უვლიდა, ალმა-დალმა ფარფატებდა, თითქოს ეშინოდა მიწამდე ჩამოსვლა.

ბაბუა რუხლო შეშას აპობდა.

„ოჰო, ჰოჰო!—ხანგამოშვებით წამოიძახებდა მოხუცი და შეფიფქულ წამწამებზე ხელს გადაისვამდა. ქარმა მეჩხერებით ნამქერი მოჰყარა, თხრილები ამოავსო და შარაგზას გაუთანასწორა. ხეზე დაფენილი ყორნები წამსვე თეთრდებოდნენ.

ბაბუა რუხლო გომურში შევიდა. სანამ შევიდოდა, ქარმა შესძლო და ისე მაგრა შეუბერა შუაცეცხლს, რომ კერასთან წამოწოლილი ნაგაზი წკავწკავით გავარდა გარეთ. ბაბუას ესმოდა, როგორ იბერტყავდა ძაღლი ტანზე მიყრილ ნაცარს და ნაპერწკლებს. მერე ისევ შემოიძურწა, მტრულად გადახედა ცეცხლს და შორიახლო ჩაცუცქდა. ნედლი შეშა ცხარე ბოლით ავსებდა გომურს.

ცეცხლზე ქვაბი იდგა. აჩუხჩუხებული წყალი სახურავს არაკუნებდა. მოხუცმა სახურავი ახადა. ქვაბმა თავისუფლად ამოისუნთქა, და ხორცისა და საკაზმის სუნით გაჟღენთილი ოხშივარი ამოუშვა. მოხუცმა კოვზი მოურია, სველი კოვზი ხელისგულზე დაიწო და წკლაპუნით ალოკა; ნაგაზმა მიაყეფა.

— ძვლები ხომ შეახრამუნე, — გეყოფა! — უთხრა ბაბუამ და მუგუზლები შეასწორა.

ოთახში შეცუნცულდა. ღუმელს შემოუარა და სარდაფში ჩასაშვები კარი გახსნა, ყური მიუგდო. ქვემოდან, სიბნელეში სტვენა-შერეული ხვრინვა ისმოდა.

— იძინოს, ჯერ მაინც ადრეა, — ჩაილაპარაკა მოხუცმა.

პისკუნი უდროვოდ მოვიდა. წუხელ ფონთან ვარტას[1] შეხვედროდა და შორიდან მოევლო. გზაზე დათენებოდა, მაგრამ სოფელში მაინც შემოპარულიყო. ბაბუას მოსაკითხი მოუტანა, — პარტიზანებს გარეული ღორი მოეკლათ და მთელი ბარკალი მისთვის გამოეგზავნათ.

სარდაფში ხუთი თოფი დახვდა.

— აი, ლენინის ნახვა თუ მეღირსა, — უთხრა გახარებულმა პისკუნმა: — თუ მეღირსა, ორდენს გამოვითხოვ შენთვის.

მოხუცმა მაშინ არაფერი უპასუხა და პისკუნს ეწყინა, რომ მისი დაპირება ასე გულგრილად მოისმინა.

მაგრამ ცოტახნის შემდეგ, მოხუცმა სხვათაშორის იკითხა, ლენინს ცხენის მოცემა თუ შეუძლიაო.

— ყველაფერი შეუძლია, —უთხრა პისკუნმა, ღიმილი მოერია: — შენ რა, ცხენი გირჩევნია?

— არა, — დარცხვენით მიუგო მოხუცმა: — ისე ვიკითხე, ყველაფერი თუ შეუძლია-მეთქი!

უძილო პისკუნს თვალი ეწებებოდა. დაღამებას ბევრი აკლდა. დასვენებას მოსწრებდა. მარტოხელა რუხლოსთან მეზობლები ხშირად შემოდიოდნენ სალაყბოდ. ამიტომ პარტიზანი სარდაფში ჩავიდა დასაძინებლად.

მოხუცი გომურში დაბრუნდა, ქვაბს ცეცხლი გაუნელა და რაღაცაზე ჩაფიქრდა. სანადირო ჩანთიდან სტრიხნინის ქილა და ლეშის ხორცი ამოიღო. მსხვილად დასჭრა და მაგრად დაჩურთა. მოწამლული ნაჭრები ისევ ჩანთაში ჩაყარა და... გული გაუჩერდა. გაორთქლილ მინას სახელო გადაუსვა.

ეზოში ჟანდარმები მოაბიჯებდნენ. ჟანდარმების უკან თოვლი აჩიჩქნილი იყო, წინ-კი სწორი და გაუკვალავი.

ბერიკაცს სულისთქმა გაუჭირდა. ყურმა წივილი დაუწყო, და უეცრად ცეცხლი, სანადირო ჩანთა, თოფები, კართან აწრიალებული ძაღლი, მძინარე პისკუნი, ენაგადმოგდებული ტერენტი უჟკი, — ყველაფერი თვალწინ დაუტრიალდა და სადღაც გაუჩინარდა. ფანჯრის რაფას მოეჭიდა რომ არ წაქცეულიყო...

კონდახების ბრახუნმა რუხლო გონზე მოიყვანა.

— „დავიღუპეთ, გადვიძებას ვერ მოვასწრებ!", — გაიფიქრა სასოწარკვეთილმა მოხუცმა.

ორიჯერ გადარაზულ კარში ვიღაცამ ხელი შემოჰკრა. კარის გამოგლეჯას აპირებდა. ამ უცხო ხელმა ბერიკაცი მონუსხა, ნებისყოფა ამოაცალა.

კარისკენ წაბარბაცდა რომ უცებ ხელში რაღაც მაგარი იგრძნო. ქილა... უაზროდ დახედა შხამიან ბურთულს და რაღაც ძალამ მოხუცი სწრაფად შემოაბრუნა და ქვაბთან მიაგდო. ქილა საჭმელში ჩაცალა.

ისინი ოთხნი იყვნენ. ერთი მათგანი რუხლოს ძველი ნაცნობი გამოდგა, — მოზვრელი ნოქარი პაპავეცი, რომელიც გადამაკების შემოსვლის შემდეგ ვარტაში ჩაეწერა და ჟანდარმების მარჯვენა ხელი გახდა. პაპავეცი, როგორც ადგილობრივი მკვიდრი, მისი წონა ოქროდ ულირდა ვარტას.

იგი პირველი შემოვიდა ბოსელში. დაკენკილ სახეზე ქონი მორეოდა. გაფანჩულ წარბებს ქვემოდან თვალები ძლივს უჩანდა. მარცხენა ლოყაზე მოუშუშებელი ნაწლევი აჩნდა.

მერე ახმახი, დიდტულაშებიანი იასაული შემოიჯგიმა და მაშინვე ხველებას აუვარდა. ისე ბრაზიანად ახველებდა, თითქოს იმუქრებოდა: აი ხველებას მოვრჩები და დედას გიტირებთ.

მესამე პირდაპირ ოთახში შებრახუნდა, თოვლი დაიბერტყა და თავპირზე შემოხვეული ყაბალახი შემოიხსნა. სახეზე ცეცხლის ალივით მოსდებოდა მოწითალო ძაგარი. ცალი ჩექმა მყაპუნობდა, იატაკზე სველი კვალი რჩებოდა. მეოთხე ჟანდარმი კარებში გაჩერდა.

თავდაპირველად რუხლოს ეგონა, რომ ჟანდარმები პისკუნისა და თოფების კვალზე იყვნენ მოსულნი, მაგრამ აგრე უშიშრად და უდარდელად რომ შემოვიდნენ, მოხუცი მიხვდა, რომ ისინი ხორბალს ეძებდნენ. ამიტომ უფრო საშიშარნი იყვნენ. სიმშილისაგან გაავებული ჟანდარმები ყველაფერს ამტვრევდნენ, რისაც კარი ჰქონდა და კლიტე ედგა. ყოველ ხვრელში და კუნჭულში იჭვრიტებოდნენ, ლოგინსაც არ უშვებდნენ, რომ ხიშტი არ ჩაეკრათ.

—ოჰო, სიდედრიც გვყოლია და სიმამრიც!—შემოსვლისთანავე დასჭექა პაპავეცმა და ორთქლიან ქვაბს მუგუზალი მიანათა.

— ხორცია, პან იასაულ, ჩვენებური თათარიანი! სახლის გაჩხრეკას მერეც მოვასწრებთ,—სასოებით წარმოსთქვა ყოფილმა ნოქარმა.

— მე უკვე დამავიწყდა ხორცის გემო ამ დასაქცევ ქვეყანაში! — სთქვა იასაულმა და მუშტუკუნა ცხვირის ნესტოები კურდღელივით შეაცმუტუნა.

პაპავეცმა თოფი კედელზე მიაყუდა.

— აქ დიეგდე, შე თხაწვერა, არსად გაჰქცე! — გადასძახა კუთხეში მიკუნჭულ რუხლოს და ზიზღიანივით დაფაცურდა. სკამლოგინი ცეცხლთან მოაჩოჩა, მერე ოთახში შევარდა და კიდობანში თავი ჩარგო.

დანარჩენები ჩამოჯდნენ და გემრიელი საჭმლის მოლოდინში, სახედამტკბარნი მისჩერებოდნენ, როგორ ოჯახობდა პაპავეცი.

— ამ ძაღლიშვილებს რომ ჰკითხოთ, — აბრიგინდა იასაული: — ხმელა პური გვენატრებაო; ჩუმჩუმად კი ყველგან აქ სდუღს და გადადის!

— მაგათ მხოლოდ გასანთლული თოკი მოარჯულებს, — უთხრა წითურმა.

— მთელი ქვეყანა მოშივლია,—განაგრძო იასაულმა:—კარპატებზე გადავსულვარ, რუმინეთის მინდვრები მითელავს, პერემიშლში პირველად ჩვენი პოლკი შევიდა, — მაგრამ ასეთი პურაძვირი და გაუტანელი ხალხი არსად შემხვედრია. სული რომ გძვრებოდეს...

იასაულს ხველებამ მოუსწრო, გაბალნუილი მუჯი პირზე მიიდო და ისეთი ბლუხუნი მორთო, რომ თვალებში სიწითლე მოაწვა და ენა გადმოუვარდა. ძლივს ამოახველა და ბრაზიანად ამოიქშინა.

— სული რომ გძვრებოდეს, წყალს არ მოგაწოდებენ!

— ან ისეთ რამეს მოგაწოდებენ, მუცელში დედის რძე არ შეგრჩება! — ჩაურთო მეოთხე ჟანდარმმა: — ამასწინად, სკრიგალოვში, ჩვენი ზარეცკი სადღაც შესულიყო და არაყი ეთხოვა. დაალევინეს, მაგრამ ვაი იმ დალევას. მთელი ღამე თავის ნარწყევში გორავდა. სულ ბლუჯა-ბლუჯად ჩამოჰქონდა თმები.

— მოწამლეს?

— მაშ არაყი რომ კაცს სწყინდეს, აქამდე სუყველა დავიხოცებოდით! — შენიშნა იასაულმა და უცებ გულიანად გადიხარხარა.

— ეგრე სჯობია, ეგრე, უფრო იოლად გამოხვალ! — მიაძახა იასაულმა ცეცხლისპირას ჩამუხლებულ რუხლოს.

რუხლო შეკრთა. იგი თავიდანვე უსმენდა ჟანდარმების საუბარს. თვალების დასაფარავად ყალიონი გატენა და ცეცხლიდან ანთებული ჩხირი გამოიღო, მაგრამ ლოდინისა და შიშისაგან გონება-დაფანტულ მოხუცს, ყალიონის მაგივრად ჩხირი ჩაედო პირში. მოხუცმა გაღიმება სცადა, მაგრამ კბილები დაკრიჭა მხოლოდ.

— თქვენ იცინით, პან, — სთქვა წითურმა: — თქვენ იცინით, მე კი ეს ბერიკაცი რაღაცა არ მომწონს! აი სულ მიჩერებივარ და არ მომწონს!

— ალბათ ზოგი რამე კარგად ვერ გადამალა და მისმა დარდმა გამოაშტერა,— გაიცინა პაპავეცმა და ქვაბი სკამლოგინზე შემოდგა.

ყველანი შემოუსხდნენ. ნაგაზი კუდს აქიცინებდა და სტუმრებს თვალებში შესციცინებდა. პაპავეცმა კოვზები და პურის ნაჭრები ჩამოარიგა. ერთი კოვზი რუხლოსაც გაუწოდა.

— თქვენ მიირთვით, მე ეს-ეს არის ვისადილე, — უთხრა მოხუცმა: — ვისადილე, — მაშინვე გაიმეორა, რადგან პირველად სიტყვის მაგივრად ხრიალი ამოხდა.

— ჰმე, — თითქოს კიდეც სთხოვა და კიდეც უბრძანა წითურმა და უეცრად სახე გამოეცვალა.

— ერიჰაა, შენ მაგრად დაუშინებიხარ ზარეცკის ბედს! თუ მართლა რამეა, აგერ ძაღლი და მისი ჯანი... დედას უტირებ!—წამოიძახა პაპავეცმა და ის-იყო ძაღლისათვის ხორცი უნდა გადაეგდო, რომ გულგახეთქილმა რუხლომ მკლავი დაუჭირა.

მოხუცის გაფითრებულ სახეზე საშინელი სულიერი ბრძოლა აღბეჭდილიყო. ბრძოლა პისკუნის გადარჩენის სურვილსა და სიკვდილის შიშს შორის.

იგი მაინც განწირული იყო. ცოტა ადრე თუ ცოტა გვიან, მოსახდენი მაინც ხდებოდა.

„მერემ ესენიც წინ გაგიძღოლო", ზედიზედ გაიელვა მოხუცის დაბინდულ გონებაში, და მისი მოქანცული სისხლი შურისძიების წყურვილმა გამოაღვიძა. გულში ადუღებულმა სიმწარემ ძალა და მხნეობა შემატა.

— როგორ გეკადრებათ, პან, ძაღლის საჭმელი ხორცი სადა მაქვს! — წყნარად წარმოსთქვა რუხლომ, ხორცი გამოართვა და აუჩქარებლად შესჭამა, — და მაშინვე ოთხი კოვზი მგლის თათივით დაუშვა ქვაბზე.

ბაბუა დაჯდა. ფეხები სკამის ფეხებს შემოაჭდო და კედელს მიეყრდნო. არ შეტორტმანდეს არ დაიმჩნიოს, როცა გვამში ჩასული ქარცეცხლი პირველად შეუტევს.

— მეც რომ შემაფიქრე, შე ოხერო! — ენა ძლივს მოაბრუნა პირგატიკნულმა პაპავეცმა და წითურს მუჯლუგუნი წაჰკრა.

— მტრის ქვეყანაში ვართ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, — ჩრამუნით მიუგო წითურმა.

ნაგაზი წკმუტუნებდა, მიწაზე მოუთმენლად კუდს ურტყამდა, მაგრამ ახლა მისთვის ვინ რას გაიმეტებდა.

ქარი აზანზარებდა კედლებს, არახუნებდა ხრიჭედ გადარაზულ კარებს, დროგამოშვებით საკვამურში ჩამოიჭრებოდა და თითქოს გატევა უჭირსო, მწარედ შეჰკივლებდა. თოვდა. მოხუცი მისჩერებოდა პეპლისოდენა ფიფქების ცვენას და გულზე მწვავე ნაღველი აწვებოდა, რაღაც მოუთმენლობა იპყრობდა. ეს უხვი თოვლი შორეულს სიჭაბუკეს ახსენებდა მოხუცს, მაინცდამაინც იმას ახსენებდა, რაც ქვეყანაზე არ მეორდება.

მოხუცის განელებულ ხსოვნაში ნაცრად და კვამლად ქცეული დღეები იღვიძებდნენ. ქარბუქის ზუზუნში თითქოს ესმოდა მარხილების ეჟვნების ჟღარუნი, გარმონის კვნესა და საკინძეგახსნილი ბიჭების ყიჟინა, ქალების ფანჯრებს რომ ჩაუქროლებდნენ. ყველიერის ორშაბათს შებმულ მარხილებს მხოლოდ კვირა-საღამო გამოხსნიდნენ...

უეცრად ბაბუა რუხლოს ტანში ჟრუანტელებმა დაურბინა და თითქოს ასლოკინებსო, თავი მაღლა შეაგდო.

— დაიწყო, — გაიფიქრა მოხუცმა და სახეში სიკვდილმა შეასუნთქა.

* * *

შებინდებისას ქარბუქი მიწყნარდა. ქოხების ბანიდან აგლეჯილი ყავარი, დამსხვრეული ზვინის ნაფლეთები მიწაზე დაუშვეს, გადაზნექილი არყები წელში გაიმართნენ და კვამლიც უფრო სწორად ავიდა საკვამურიდან.

ცოტახანს კიდევ ფარფატებდა ადგილიდან ადგილას მიყრილი თოვლი, მერე ისეთი სიჩუმე დადგა, რომ ტბიდან ნელი ტკაცანი მოისმა: ნაპირის წყალი იყინებოდა.

ფიფქავდა. დათოვლილი მინდვრების შუქი ოდნავ ანელებდა წყვდიადს. მთელი ღამე პისკუნი ტყისაკენ მიდიოდა, მკლავზე მკვდარი ბაბუა ესვენა. სიარული უჭირდა. ზოგან ისეთი ნამქერი ეყარა, რომ იოლად გაზვირთქულ პარტიზანს შორიდან მოვლა უხდებოდა.

— შენი ჭირიმე, — აღმოხდებოდა ხანდახან და გულზე იხუტებდა, ფუთვნიდა, ეფერებოდა უსულო მოხუცს და ისე ფრთხილად მიჰქონდა ტყისაკენ, როგორც დედას ხელზე ჩაძინებული ბავშვი აკვნისაკენ მიჰყავს.

მოხუცის სახეს რამდენიმე წვეთი დაეცა. ცრემლი კი-არა, ოფლი იყო. ცრემლი დიდიხანია გაუშრა პისკუნს.

1938 წ.

---

[1] გეტმანის ჟანდარმერია.

ჩემბერლენი აშკარად აფარებს ხელს იტალიისა და გერმანიის ფაშისტ ყაჩაღებს

კამათი თემთა პალატაში

ლონდონი, 23 ივნისი (საკდესი). თემთა პალატაში ჩემბერლენის გამოსვლის მეორე დღეს ინტერვენტთა თვითმფრინავებმა კვლავ ყუმბარები დაუშინეს და ჩასძირეს ინგლისის რამდენიმე გემი. ოპოზიციის მოთხოვნით, დღეს თემთა პალატაში გაიმართა კამათი ინგლისის გემებზე იტალია-გერმანიის ინტერვენტთა თვითმფრინავების გუშინდელი პირატული თავდასხმის გამო.

ლეიბორისტული ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად მთავრობის მკაცრი კრიტიკით გამოვიდნენ ლოიდ ჯორჯი და კონსერვატორი სენდისი. იტალია-გერმანიის ავიაციის მიერ ინგლისის გემების ბარბაროსული ბომბარდირების შესახებ მიცემულ კითხვებზე ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ინგლისის მთავრობამ მოითხოვა დაუყოვნებლივი განმარტება გემების „ტორპენესის" და „იუნიონის" ბომბარდირების შესახებ.

კამათში გამოსულმა კონსერვატორმა სენდისმა განაცხადა: „ნუთუ ჩემბერლენს არ ესმის, რომ ინგლისის უუნარობა წინააღმდეგობა გაუწიოს ძალადობის ამ უკანონო აქტებს მხოლოდ აქეზებს აგრესორებს არა მარტო ესპანეთში, არამედ აგრეთვე მთელ მსოფლიოში?"

ამაზე ჩემბერლენმა უპასუხა, რომ მთავრობის პოლიტიკის შესახებ მან უკვე მისცა ამომწურავი ახსნა-განმარტება პალატას.

შემდეგ გამოვიდა ლეიბორისტული ოპოზიციის ლიდერი ეტლი, რომელმაც შემდეგი განაცხადა: „განა მთავრობისთვის ნათელი არ არის, რომ ძალადობის ეს აქტები პირდაპირი შედეგია ჩემბერლენის სიტყვისა, რომელშიც მან არსებითად თვითონ მისცა წინადადება ყუმბარები დაუშინონ ინგლისის გემებს!" უპასუხა რა ეტლის, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ გუშინდელი თავდასხმა ინგლისის გემებზე არ არის პირველი ამგვარი შემთხვევა.

კამათში გამოსულმა ლოიდ ჯორჯმა ჩემბერლენისაგან მოითხოვა ზუსტი განცხადება: გაუგზავნის თუ არა იგი პროტესტს იმათ, ვისაც ეს ყუმბარმშენები ეკუთვნის, თუ დაკმაყოფილდება გენერალ ფრანკოს მთავრობისათვის წარდგინების გაგზავნით იმ დროს, როცა თვითმფრინავები, რომლებმაც ყუმბარები დაუშინეს ინგლისის გემებს, იტალიისა და გერმანიის მთავრობებს ეკუთვნის?

უპასუხა რა ამ კითხვაზე ლოიდ ჯორჯს, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მან არ იცოდა, რომ ლოიდ ჯორჯს მოეპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ეს თვითმფრინავები, — იტალიისა თუ გერმანიის მთავრობას. მისი აზრით კი, ისინი შეადგენენ გენერალ ფრანკოს შეიარაღებულ ძალთა ნაწილს.

ამის საპასუხოდ ლოიდ ჯორჯი შეეკითხა: „განა ჩემბერლენს არ მიუღია მრავალი დამამტკიცებელი საბუთი, რომ ამ თვითმფრინავების ნაწილი იტალიის მთავრობას ეკუთვნის? ჩემბერლენმა უნდა იცოდეს ეს".

„ამიტომ, — დასძინა ლოიდ ჯორჯმა—მე ვკითხულობ: აპირებს თუ არა ჩემბერლენი გაუგზავნოს პროტესტი მთავრობებს, რომლებიც ამ თვითმფრინავებით და მფრინავებით ამარაგებენ ესპანეთის მეამბოხეებს, თუ იგი დაკმაყოფილდება პროტესტით მხოლოდ ფრანკოს მთავრობის მიმართ?"

პასუხად ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ეს თვითმფრინავები უნდა მიეკუთვნოს იმავე კატეგორიას, როგორც სხვა იარაღი და საომარი მასალა, რასაც სხვა სახელმწიფოებისაგან ღებულობს ორივე მხარე ესპანეთში.

დღეს ინგლისის ოპოზიციურ პრესაშიც მკაცრად გააკრიტიკეს ჩემბერლენის მთავრობის უმოქმედობა ფაშისტ ინტერვენტების მიმართ. ოპოზიციური პრესა პირდაპირ მიუთითებს, რომ ახალი თავდასხმა ინგლისის გემებზე ფაქტიურად გენერალ ფრანკოს პასუხია ჩემბერლენის მიერ თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაზე.

მთავრობის პრესა ამ საკითხს სრული დუმილით უვლის გვერდს.

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). გუშინ ლეიბორისტული ოპოზიციის ლიდერმა ეტლიმ, კონსერვატორმა სენდისმა და ლოიდ ჯორჯმა მთელი რიგი შეკითხვები მისცეს მთავრობას. ამ შეკითხვებზე პასუხი გასცა პრემიერმა ჩემბერლენმა, რის შემდეგ დაიწყო კამათი იტალია-გერმანიის ავიაციის მიერ ინგლისის გემების ბარბაროსული ბომბარდირების საკითხზე. კამათი გახსნა ლეიბორისტული ოპოზიციის ლიდერმა ეტლიმ.

ინგლისის მთავრობის პოზიცია,— განაცხადა ეტლიმ, — იმაში მდგომარეობს, რომ არ გადასდგას ისეთი ნაბიჯი, რაც გენერალ ფრანკოს ხელს შეუშლიდა გამარჯვებისათვის მიეღწია რესპუბლიკურ ესპანეთთან ბრძოლაში.

ეტლის პასუხი გასცა ჩემბერლენმა, რომელმაც გაიმეორა თავისი ჩვეულებრივი განცხადება, რომ საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე იმ საკითხების გადაჭრაში, „რომლებსაც შეუძლიათ მიგვაახლოვონ საშიშ საზღვარს, რომელიც გადის მშვიდობიანობასა და ომს შორის". ლეიბორისტთა ლიდერმა ეტლიმ სიტყვა შეაწყვეტინა ჩემბერლენს და პალატის ოპოზიციური ნაწილის ტაშის გრიალში განაცხადა, რომ ჩემბერლენი სავსებით შემცდარია.

ჩემბერლენმა სცადა განეგრძო თავისი სიტყვა, მაგრამ მას დამსწრეებმა ლაპარაკი შეაწყვეტინეს შეძახილებით ქანდარიდან: „ჩემბერლენი ინგლისის მეზღვაურთა მკვლელობაზე აქეზებს გენერალ ფრანკოს!" ეს პირები დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნენ თემთა პალატიდან. და წესრიგის აღდგენის შემდეგ ჩემბერლენმა განაგრძო თავისი საპასუხო სიტყვა.

დასასრულ ჩემბერლენმა განაცხადა: „ჩვენ არ გვაქვს განზრახული შევცვალოთ ჩვენი პოლიტიკა ესპანეთის საკითხში. ჩვენ განვაგრძობთ ჩაურევლობის პოლიტიკას".

შემდეგ კამათში გამოვიდა ჩერჩილი, რომელმაც განაცხადა: „მე იძულებული ვარ გულისტკივილით ვაღიარო, რომ არც ერთი სხვა საზღვაო სახელმწიფო არ მოითმენდა ასეთ მოპყრობას მისი კომერციული გემების მიმართ".

ლეიბორისტთა წინადადება, რომელიც ჰგმობდა მთავრობის პოლიტიკას, უარყოფილი იქნა 275 ხმით 141 ხმის წინააღმდეგ.

◇ ◇ ◇

საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის მე-38 კონფერენცია

საბჭოთა კავშირის გმირებს ამხ. ამხ. გრომოვს, იუმაშევსა და დანილინს გადაეცათ მედლები

ბერლინი, 24 ივნისი (საკდესი). დღეს ბერლინში „მფრინავთა სახლის" შენობაში მოხდა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის მე-38 კონფერენციის საზეიმო გახსნა. კონფერენციის გახსნას დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსის წევრები და სამხედრო ატაშეები.

ფედერაციის საბჭოს მუშაობის შესახებ გაკეთებული მოხსენების შემდეგ მედალები გადასცეს გამოჩენილ მფრინავებს. დანიელი მფრინავი ქალის ბატენისათვის მედალის გადაცემის შემდეგ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გამოაქვეყნა გადაწყვეტილება საბჭოთა სამი მფრინავის — ამხ გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის დაჯილდოების შესახებ. ამხ. გრომოვს, იუმაშევსა და დანილინს მთელი დარბაზის ტაშის გრიალში გადასცეს მედლები.

◇ ◇ ◇

საფრანგეთის კომუნისტთა ბრწყინვალე გამარჯვება

პარიზი, 24 ივნისი (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტებმა ქ. რიუეიში (პარიზის მახლობლად) დამატებითს მუნიციპალურ არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. კომუნისტთა მთელი სია არჩეულ იქნა 2.815 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 2.415 ხმისა, რომლებიც რეაქციონერთა სიამ მიიღო. ქ. რიუეის მუნიციპალური საბჭოს 27 წევრთა შორის ახლა 15 წევრი კომუნისტია იმ დროს, როდესაც წინათ ამ მუნიციპალურ საბჭოში მხოლოდ 2 კომუნისტი იყო.

◇ ◇ ◇

ჰენლაინელთა შანტაჟი მთავრობის მიმართ

პრაღა, 24 ივნისი (საკდესი). გუშინ მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მთავრობის თათბირი სუდეტელ-გერმანელთა პარტიის (ჰიტლერის აგენტურა ჩეხოსლოვაკიაში) წარმომადგენლებთან.

ოფიციალური ცნობების თანახმად, სუდეტელ-გერმანელთა პარტიის წარმომადგენლებმა მინისტრებს გადასცეს ის მოთხოვნები, რომლებიც გამოთქმულია ჰენლაინელთა კარლსბადის ყრილობის გადაწყვეტილებებსა და იმ მემორანდუმში, რომელიც მათ ამ ორი კვირის წინად წარუდგინეს მთავრობას, და კონკრეტულად ჩამოაყალიბეს ეს თავისი მოთხოვნები.

როგორც ავტორიტეტული წყაროებიდან იუწყებიან, ჰენლაინელები არავითარ სურვილს არ იჩენენ იმ მხრივ, რომ დასთმონ რაიმე თავიანთ მოთხოვნებში, რომლებიც ძალიან სცილდებიან ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციის ფარგლებს. ჰენლაინელები იყენებენ ბერლინის გაძლიერებულ ზეგავლენას (უკანასკნელ დღეებში აგრეთვე ეკონომიური ხაზითაც), მათ იმედი აქვთ, რომ მხარს დაუჭერს ინგლისის დიპლომატია, რომელიც განაგრძობს ზეგავლენის მოხდენას პრაღაზე და ამის მეოხებით ეწევიან შანტაჟს მთავრობის მიმართ, ელაქუცებიან აგრარული პარტიის რეაქციულ ელემენტებსა და იმის იმედი აქვთ, რომ მთავრობა კაპიტულაციას მოახდენს.

◇ ◇ ◇

მეამბოხეებმა ფრონტზე გაგზავნეს 10 ათასი მაროკოელი

პარიზი, 24 ივნისი (საკდესი). რადიოს სააგენტოს გადმოცემით, 20 ივნისს სეუტიდან (ესპანეთის მაროკო) ესპანეთის ტერიტორიაზე, რომელიც მეამბოხეებს უჭირავთ, გაიგზავნა 10 ათასი მაროკოელი ჯარისკაცი. მაროკოელები გადმოსხეს კადიქსსა და ალხესირასში, საიდანაც ისინი დაუყოვნებლივ გაჰგზავნეს ტერუელისა და მადრიდის ფრონტებზე.

◇ ◇ ◇

გერმანიის ფაშისტთა მხეცობა

ლონდონის „დეილი უორკერს" 10 ივნისის ნომერში მოჰყავს გერმანიაში არალეგალურად გამოცემული წიგნიდან: „გერმანია დღეს" ცნობები, რომელიც ნათლად გვიჩვენებს გერმანიის ფაშისტების მხეცურ საქციელს და ფაშისტური რეჟიმის აუტანლობას.

გაზეთი სწერს, რომ გერმანიის ფაშისტები უკანასკნელ სურსათს ართმევენ ქვრივებს, ობლებს და მოხუც პენსიონერებს, რათა უზრუნველჰყონ დიდი საომარი შეიარაღების გეგმისათვის საშუალების შეგროვება. ამასთანავე—სწერს გაზეთი—ფაშიზმის მოწინააღმდეგეები დიდად ასუსტებენ ჰიტლერის ბატონობას გერმანიაში. **(საკუთარი ინფორმაცია).**

◇ ◇ ◇

საავიაციო კატასტროფა

პრაღა, 24 ივნისი (საკდესი). პრაღაში მოხდა სერიოზული საავიაციო კატასტროფა. სასწავლო ვარჯიშობისას, უმაღლესი პილოტაჟის რთული ფიგურის შესრულების დროს, როდესაც შვიდი სამხედრო ერთადგილიანი თვითმფრინავი მწყობრად მიფრინავდა, სამი მათგანი ერთმანეთს დაეჯახა. სამივე თვითმფრინავი დაიმსხვრა და ქალაქის ქუჩაზე ჩამოვარდა. ორი მფრინავი დაიღუპა, ერთი მფრინავი პარაშუტით გადარჩა.

საბჭოთა ფეხბურთელების ბრწყინვალე გამარჯვება

პარიზი, 24 ივნისი (საკდესი) საფრანგეთის მუშათა სასპორტო ფედერაციის შექმნის 30 წლისთავთან დაკავშირებით, პარიზში ეწყობა გრანდიოზული სასპორტო შეჯიბრებები.

გუშინ შესდგა საერთაშორისო საფეხბურთო შეჯიბრებათა ნახევარსაფინალო შეხვედრა. თამაშობდნენ საფრანგეთისა და ნორვეგიის გუნდები.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 5:1 ნორვეგიის სასარგებლოდ.

პარიზი, 24 ივნისი (საკდესი). დღეს საერთაშორისო სასპორტო დღესასწაულზე პარიზში მოხდა საბჭოთა ფეხბურთელების გუნდის „ტორპედოს" შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ აუსიგის მუშათა ნაკრებ გუნდთან. საბჭოთა გუნდმა მატჩი მოიგო ანგარიშით 8:0.

12 ივნისს ქ. ვოროშილოვგრადში შესდგა ფიზკულტურელთა პარადი, მიძღვნილი უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი.
სურათზე: ფიზკულტურის დღესასწაულის ერთერთი მომენტი. („სოიუზფოტო")

◇

ოქროვანო უკრაინავ

(ხალხური სიმღერა)

ოქროვანო უკრაინავ!
მშობლიურო მხარევ
პურის დედავ შენთვის სისხლი
ჩვენ რამდენი ვღვარეთ.

ჰო, რამდენჯერ გადაგჯეკა
მტრის ქვემეხმა, ცხენმა
მოკვდა, მაგრამ არ იგემა
შვილმა დამარცხება.

ვერ ეღირსა საზიზღარი
მტერი შენზე ხარხარს
მას ყელში წვდა და შავზღვაში
გადარეკა ხალხმა.

ახლა გიდგას ჩემო მხარევ
ყვავილობის ხანა
გადაღარეს ტრაქტორებმა
შენი ფართო ყანა.

თავისუფალ შრომას ძეგლად
უდგას დიდი ხვავი
ოქროვანო, უკრაინავ!
პურის დედავ, ჰყვავი.

---

*) ჩაწერილია უკრაინის სსრ კამენეც-პოდოლსკის ოლქის იზიასლავის რაიონის სოფელ პუტრინცის კოლმეურნეობა „კრასნი პახარის" წევრის უ. ბარაბაშის თქმით.

სიმართლის სიტყვები

მოირთვება ჩემი ბაღი
გაზაფხულზე ნაირ ფერით
ჩვენ ყველა ვართ კოლექტივში
მდიდარი და ბედნიერი.

ყვავის ახლა უკრაინა —
ჰანგი დაჟღერს სოფლის თავზე
შენ გვიზავნით, სტალინ, — მამავ,
ჩვენს მადლობას გრძნობით სავსეს.

შენ გაგვხადე ბედნიერი,
დიდო სტალინ, ჩვენ და მერე
დიდ კანონში შენ ეს მცნება
სიტყვა-სიტყვით ჩაგვიწერე.

თავისუფალ შრომის ფრთებს ქვეშ
თანასწორი ვართო — ითქვა —
ეს სტალინის უბრალოა
და სიმართლით სავსე სიტყვა.

შენთან, ჩვენო შევარდენო,
არ გადვუხვევთ სწორი გზიდან
ჩვენს გულზე და ჩვენს დროშებზე
ჩვენ ძირითად კანონს ვზიდავთ.

დე, მზემ უფრო დაგვაცხუნოს,
ააყვავოს ბაღჩა, ყანა!
დეე უფრო ტურფა გახდეს
ჩვენი ლამაზი ქვეყანა!

---

*) ჩაწერილია უკრაინის სსრ ნიკოლაევის ოლქის ნოვოტროიცკის რაიონის კოლმეურნეობა „ზილიონი გაის" კოლმეურნის მ. პიატაკის თქმით.

თარგმნა **ბიძინა აბულაძემ.**

აფხაზეთის მეაბრეშუმეთა წარმატებანი

სოხუმი, (საკ. კორ.). მთელ აფხაზეთში 15 ივნისიდან დაიწყო აბრეშუმის პარკის ჩაბარება. აბრეშუმის მოსავლიანობის ზრდაში კოლმეურნე მეაბრეშუმეებმა წელს განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს.

გალის რაიონის სოფ. აჩიგვარის კოლმეურნემ ლიდა ცაგულიამ ნახევარი კოლოფი თესლიდან სახელმწიფოს ჩააბარა 47,5 კილოგრამი აბრეშუმი, ნაცვლად 20,3 კილოგრამისა. ჩაბარებული პარკიდან 41 კილოგრამი პირველი ხარისხისაა.

ამავე რაიონის სოფ. გუდავის კოლმეურნემ ნინუცა ჭანჭულიამ ნახევარი კოლოფი თესლიდან ჩააბარა 47 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. აქედან 40 კილოგრამი პირველი ხარისხისაა.

მარტო გალის რაიონის აჩიგვარის მიმღებმა პუნქტმა 15 და 16 ივნისს მიიღო სამ ტონამდე საუკეთესო ხარისხის პარკი.

○

საბავშვო სანატორიუმები თბილისში

1 ივლისიდან თბილისში გაიხსნება 5 საზაფხულო საბავშვო სანატორიუმი. ამ სანატორიუმებში მიიღებენ იმ ბავშვებს, რომლებიც ზაფხულის განმავლობაში თბილისში რჩებიან. სანატორიუმებში ბავშვები იქნებიან დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ზაფხულის განმავლობაში სანატორიუმები მომსახურებას გაუწევენ 700 ბავშვს (8-დან 12 წლის ასაკამდე). სანატორიუმებში გასაგზავნი ბავშვების შერჩევა მოხდება სკოლებში.

ამ დღეებში თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილება მელიქიშვილის ქუჩაზე № 18 (სკოლის შენობაში) ხსნის ახალ საბავშვო სანატორიუმს, სადაც ბავშვები იქნებიან მთელი დღეღამის განმავლობაში. სასწავლო წლის დაწყებამდე ამ სანატორიუმში იქნება 300 ბავშვი.

○

კოლმეურნე ვ. წირღვავას შემოსავალი

სოხუმი (საკ. კორ.) გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის მილიონერ კოლმეურნეობაში გასულ წელს დიდი მოსავალი მიიღეს. კოლმეურნე ვ. წირღვავას ოჯახმა წლის განმავლობაში გამოიმუშავა 1.008 შრომადღე და მიიღო 8.164 მან. და 80 კაპ. ფულად, ხოლო 7.187 კილოგრამი სიმინდი ნატურით. ოჯახში 7 სულია, საერთო გამოანგარიშებით მთელი წლის განმავლობაში ოჯახს დასჭირდება 2.691 კილოგრამი სიმინდი, ხოლო 4.496 კილოგრამს იგი საკოლმეურნეო ბაზარზე ჰყიდის და მოახმარს ოჯახის მოწყობას.

ასეთი კოლმეურნეები სოფელ ოქუმში ბევრია.

უპროექტო მშენებლობის აკრძალვა

უკანასკნელ ხანებში თბილისში, განსაკუთრებით კ. ლენინის, ორჯონიკიძის და 26-კომისრის რაიონებში, გახშირდა თვითნებური უპროექტო მშენებლობა. ამ მშენებლობას აწარმოებენ უმთავრესად იმ ადგილებში, სადაც ქალაქის გენერალური გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია საავადმყოფოების, ახალი სამრეწველოების, სკოლებისა და სხვა ასეთი დაწესებულების აგება. თვითნებურად დაწყებული მშენებლობა დღემდეც აკრძალული იყო, მაგრამ იმის გამო, რომ რაისაბჭოები ამ მხრივ სათანადო სიფხიზლეს ვერ იჩენდნენ, ცალკეული მოქალაქენი სარგებლობდნენ შემთხვევით და აშენებდნენ პატარ-პატარა საცხოვრებელ სახლებს.

22 ივნისს თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ეს საკითხი და გამოიმუშავა ღონისძიებანი უპროექტო მშენებლობის ასაკვეთად. რაისაბჭოების თავმჯდომარეებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ მოახდინონ იმ მშენებლობათა ლიკვიდაცია, რომელთაც აწარმოებენ თვითნებურად. მილიციას დავალებული აქვს დახმარება გაუწიოს ამ საქმეში რაისაბჭოებს.

ამასთან გადაწყვეტილია ინდივიდუალური მშენებლების ჯგუფებად გაერთიანება. მშენებელი ორგანიზაციები ამ ჯგუფებთან დასდებენ ხელშეკრულებებს მათთვის საცხოვრებელი სახლების აგების შესახებ.

○

შემთხვევები

ქურდების შეპყრობა. 22 ივნისს, მოქ. ა. ი. გეცმანის ბინაში (ყორესის ქ., № 5), დილით ადრე, როცა გეცმანს ეძინა, შეიპარა ორი უცნობი პირი. მათ სხვადასხვა ნივთები მოიპარეს და წავიდნენ. სახლიდან გამოსვლისას ისინი ქუჩაში დააკავა მილიციის მე-5 განყოფილების მილიციელმა. ისინი აღმოჩნდნენ ა. ა. ტიმოფეევი და ს. ვ. ნანიკაშვილი, რომლებსაც ქურდობის რამდენიმე რეგისტრაცია აქვთ. მათ ნივთები ჩამოართვეს და სახლის პატრონს დაუბრუნეს.

ქურდები დააპატიმრეს.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

26 ივნისს:

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: საქ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობა. ქართულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. ვერულავა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: უცხოეთის სადაზვერვო ორგანოებისა და მათი ტროცკისტულ - ბუხარინული აგენტურის ჯაშუშურ-დივერსიული მუშაობის ხერხები და მეთოდები. საბჭოთა დაზვერვის მნიშვნელობა ხალხის მტრებთან ბრძოლაში. რუსულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. გეგია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: სოციალიზმი - კომუნიზმი. ქართულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. ლარცულიანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◇

26 ივნისს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტსემინარის მეცადინეობა. აგიტატორთა დასწრება სავალდებულოა.

◇

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომ. სახ. რაიკომი წინადადებას აძლევს ალექსი ასლანის-ძე ხაჩატუროვს დღეს, 26 ივნისს გამოცხადდეს რაიკომში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

დღეს საკინემატოგრაფიო თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ., 135	ახალი ხმოვ. მხატვრული ფილმი **ზანგეზური** სეანს. დასაწყ. კომკავშირელის საზაფხ. შენ. 9, 11 ს. სეანს. დასაწყ. ოქტომბრის და კომკავშირელის საზამთ. შენ. 6-30, 8-30, 10-30
კომკავშირელი პლეხ. პროსპ. 91	
დამკვრელი პლეხანოვის პროსპ., 125	საზამთ. შენ. **ბაქოელები** დასაწყ. 6-30 საზაფხ. შენობ. **ლენინი ოქტომბერში**
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის, 8	დადგმის უკანასკნ. დღეები **წელი მეცხრამეტე** დასაწყ. 6-30
სპარტაკი რუსთაველის პროსპ., 23	ახალი ხმოვანი ფილმი **კომსომოლსკი** დასაწყ 6-30
26 კომ. სახ. (საზამთ. შენ.) შაუმიანის მოედანი	საზამთ. შენ. **ორი მეგობარი** საზაფხ. შენობაში **პედრო და უცხოელი ქალი**
არენა კომუნალური ქ., № 9	ახალი ხმოვანი ფილმი **ბაქოელები** დასაწყ. 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	ხმოვანი ფილმი **პუგაჩოვი** დასაწყისი 9 საათზე
ახალი ამბები პლეხანოვის პროსპ., 125	ხმოვ. ჟურნ. **საბჭოთა საქართველო** № 5

საქფილარმონიის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123, ტელ. 3-18-50
26 ივნისს ტალონი № 26 27 ივნისს ტალონი № 27
სომხეთის სსრ სიმღერების, ცეკვისა და მუსიკის საღამო
შოღიკ მკრტჩიანის და ვაჰარშაკ სააკიანის
მონაწილეობით
ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლი მექამანჩე გ. მირზოიანის ხელმძღვანელობით.
ხალხურ ცეკვათა ანსამბლი ე. მანუკიანის ხელმძღვანელობით.
პროგრამაში: ხალხური სიმღერები, ცეკვა და მუსიკა.
დასაწყისი საღამოს 9 ს. 30 წ.
50

თანახმად სსრ კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის „გლავუნივერმაღის" განკარგულებისა № 4- 1
1938 წლის 20 ივნისიდან ხდება ლიკვიდაცია
თბილკავშირუნივერმაღის შემდეგი საწარმოო წამოწყებებისა:
სამკერვალოსი—ორჯონიკიძის ქ. № 143/145
სამკერვალოსი—პლეხანოვის პროსპ. № 115
იმ ორგანიზაციებმა და პირებმა, რომლებსაც პრეტენზიები აქვთ აღნიშნული საწარმოებისადმი, უნდა განუცხადონ ეს პრეტენზიები სალიკვიდაციო კომისიას (ყორესის ქ. № 9) არა უგვიანეს 1938 წ. 5 ივლისისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ არავითარი პრეტენზია განსახილველად არ მიიღება
სსრ კავშირის ვაჭრობის სახ. კომ.
1650 თბილკავშირუნივერმაღის **დირექცია.**

თბილკავშირუნივერმაღის სამკერვალო წარმოება.
ლიკვიდაციასთან დაკავშირებით,
წინადადებას აძლევს ყველა შემკვეთელს გამოისყიდონ შესრულებული შეკვეთები და უკანვე მიიღონ მასალა არა უგვიანეს 1938 წლის 5 ივლისისა.
1650 **სამკერვალო წარმოების ადმინისტრაცია.**

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი
„გლავკონდიტერი"
გემრიელი და ნოყიერი
ირისი

იყიდეთ „გლავკონდიტერის" **ფაბრიკების**
ირისი

ექიმი
ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა. ავადმყოფთა მიღება დილ. 10 12-დე საღ. 7—9-დე. ნიკოშვილის ქ. (ყოფ. ალექსანდროვის) № 537. 6—2 16

ექიმთა და ავადმყოფთა საყურადღებოდ
მთ. სააფთიაქო სამმართველოს ცენტრალურ საწყობში
მიღებულია საკმაო რაოდენობით შემდეგი სამკურნალო საშუალებანი:
ვალიდოლი
წყალბადის ზეჟანგი
და ასკილი
ყველა აღნიშნული საშუალებანი მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ აფთიაქებიდან საჭირო რაოდენობით. უარის თქმის შემთხვევაში მიმართეთ მთ. სააფთ. სამმართველოს: თბილისი, კამოს ქ. № 76, ტელეფ. № 3-17-70.
1258 **მთ. ს. ს. მედბაზის დირექცია.**

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი „გლავკონსერვი"
პავიდლო
კარგი საუზმე ბავშვებისათვის სახლში და სკოლაში



გემრიელი. ნოყიერი იაფი!
„გლავკონსერვის" ქარხნების პოვიდლო დამზადებულია წმინდა შაქრით საუკეთესო ხარისხის ხილისაგან და შენარჩუნებული აქვს ახალი ხილის სურნელება და ნოყიერება.
მოითხოვეთ „გლავკონსერვის" ქარხნების პოვიდლო „გლავკონსერვის" ყველა სხვა სასურსათო მაღაზიაში. 150

საქართველოს სსრ ჯანსახკომის თბილისის სამედიცინო და საბაგო დების № 1 სკოლაში
მიღების პირობები 1938/39 სასწ. წლისათვის

თბილისის სამედიცინო და საბაგო დების № 1 სკოლა არის სახელმწიფო საშუალო სამედიცინო სასწავლებელი, რომელიც ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის მედპერსონალს (ექიმის თანაშემწეებს). სწავლების ხანგრძლივობა—2 წელიწადი.

1. სკოლას აქვს ორი განყოფილება: ა) სამედიცინო და ბ) ბავშვთა ბაგების.
2. სკოლაში მიიღებიან მხოლოდ ქალები 15—35 წლამდე.
3. სკოლაში შემსვლელებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე პირადად ან გადმოგზავნონ ფოსტით შემდეგი მისამართით: თბილისი, შაუმიანის ქუჩა № 23, მე-86 სრული საშუალო სკოლის შენობა, მესამე სართული, სამედიცინო და საბაგო დების № 1 სკოლა.
4. განცხადებასთან დართულ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები: ა) არასრული საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა (აუცილებლად დედანი), ბ) დაბადების, გ) ჯანმრთელობის, დ) 2 ფოტოგრაფიული სურათი შემსვლელის ხელისმოწერით და სახელმწიფო დაწესებულების მიერ დამოწმებული.
5. სკოლაში შემსვლელთათვის დაწესებულია მისაღები გამოცდები: ა) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ბ) მათემატიკაში (წერა და ზეპირი), გ) ფიზიკაში, დ) გეოგრაფიაში და ე) პოლიტცოდნაში არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით.

შენიშვნა: არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები და სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული პირები სკოლაში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

6. მიღებულ მოწაფეთა 60 %-ს დაენიშნება სტიპენდია მათი აკადემიური წარმატების მიხედვით.
7. სამედიცინო და საბაგო დების სკოლის კურსდამთავრებულთ, საერთო წესის საფუძველზე, ენიჭებათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება.
8. განცხადებების მიღება სწარმოებს 15 ივნისიდან 16 აგვისტომდე, საღამოს 6 საათიდან, გამოცდები კი 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.
9. მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში დამთავრდება 25 აგვისტოს. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

სამედიცინო და საბაგო დების № 1 სკოლის დირექტორი ექ.
1255 **ალ. კერესელიძე.**

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, ამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57 61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ-მგ მორიგის — 3—26—67, ამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ა—1481